ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

1981 წელი ხუთშაბათი 31 დეკემბერი № 300 (18242) ფასი 2 კაპ.

დიდმნიშვნელოვანი მოვლენებით აღსავსეს მიაცილებენ საბჭოთა საქართველო 1981 წელს. ჩვენი გაზეთის გუშინდელ და დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ წლის ყველაზე ღირსსახსოვარ მატიანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშანსვეტები

1981

22 იანვარი.
კუშაობა დაიწყო საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ.

8 თებერვალი.
საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლისა და მეათე ხუთწლედის საახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკა დაჯილდოდა სკკა ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

23 თებერვალი.
კუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობამ.

5 მარტი.
აკადემიკოსმა ლ. ი. ბრეჟნევმა სამშობლოს მაღალი ჯილდო „ნამგლისა და უროს“ ოქროს medალი და ლენინის ორდენი გადასცა ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს.

19 მარტი.
გაიმართა რესპუბლიკის კარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელზეც განიხილეს სკკა XXVI ყრილობის შედეგები და რესპუბლიკის კომუნისტთა ამოცანები ყრილობის გადაწყვეტილებებისა და სკკა ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების შესაბამისად.

22 მარტი.
გაიმართა რესპუბლიკის კარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა მონაწილეობით.

30 მარტი.
გაიხსნა საქართველოს მწერალთა IX ყრილობა.

16 აპრილი.
გაიხსნა საქართველოს კინემატოგრაფისტთა V ყრილობა.

7 მაისი.
აჭარაში გაიმართა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი.

12 მაისი.
სამხრეთ ოსეთში გაიმართა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი.

15 მაისი.
აფხაზეთში გაიმართა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი.

21 მაისი.
საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე თბილისში ჩამოვიდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

22 მაისი.
საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

26 ივნისი.
გაიმართა საქართველოს საბჭოთა მილიციის 60-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

6 ივლისი.
მუშაობა დაიწყო სკკ XXVI ყრილობის მასალების კრებულის შესწავლის საკითხებისადმი მიძღვნილმა რესპუბლიკურმა თათბირ-სემინარმა.

29 აგვისტო.
დაიგეგმა ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის გასვლა „მოსკოვსკია ნოვოსტის“ კორესპონდენტის კითხვებზე.

18 სექტემბერი.
გაიმართა აფრიკა-კავკასიის ყოთელდროზოვანი სამხედრო ოლქის 60-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

2 ოქტომბერი.
გაიმართა პიონერულ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი.

9 ოქტომბერი.
საქართველოს ჩაის კლანდაციების მუშაკებმა შეასრულეს მიმდინარე წლის ჩაის კრეფის გეგმა. სახელმწიფოს გაბარდა 615.181 ტონა მწვანე ფოთოლი.

ლ. ბრეჟნევი:

თქვენი დღესასწაული ყველა საბჭოთა ადამიანის, საბჭოთა კავშირის ხალხთა მთელი დიდი ოჯახის დღესასწაულია. ჩვენს ქვეყანაში ყველგან იციან: საქართველო — ეს არის დიდა მიწის თვალწარმტაცი კუთხე, სადაც ცხოვრობს გულღია ხალხი, ოდითგან რომ აფასებს კაცურ-კაცურ კეთილშობილებას, შთაგონებულ შრომას, მხე დრულ ვაჟკაცობას და ერთგულ მეგობრობას...

აბა, რა გისურვოთ სამერმისოდ? იმოქმედეთ უფრო თამამად, იმუშავეთ კიდევ უფრო შეუპოვრად, კვლავაც აამაღლეთ საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტი. საბჭოთა ადამიანებს სჯერათ, რომ თქვენი მზიური რესპუბლიკა კიდევ არაერთგზის გაახარებს სამშობლოს ახალი შრომითი გამარჯვებებით.

სადღესასწაულო ტრიბუნაზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლის თავის დიდ ზეიმს წინ უსწრებდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლის თავის ალსანიშნავი დღესასწაულები აფხაზეთში (15 მაისს), აჭარაში (7 მაისს) და სამხრეთ ოსეთში (12 მაისს).

სოხუმი:

ჩვენმა ავტონომიურმა რესპუბლიკამ მომძე ქართველი და რუსი ხალხების უანგარო დახმარებით, ლენინური ეროვნული პოლიტიკის სწორი გატარებით 60 წლის მანძილზე არნახულად იცვალა სახე. იგი ნამდვილი თვალმარგალიტია განვითარებული მრეწველობითა და სოფლის მეურნეობით, მსოფლიოში განთქმული კურორტებითა და კეთილმოწყობილი ქალაქებით. დღეს ჩემი სოხუმი, სადაც საბჭოთა ხელისუფლებამდე მხოლოდ ერთი რეალური სასწავლებელი იყო, საუნივერსიტეტო ქალაქია. აქვეა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტიც, ოცი ზოგადსაგანმათლებლო სკოლა და სპეციალური საშუალო სასწავლებლები...

წინ კიდევ რამდენი სიკეთე მოგველის! ამის დასტურია აფხაზეთის‘ სსრ თაობაზე სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი, სკკ XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით საბჭოთა აფხაზეთის წინაშე გადაშლილი პერსპექტივები.

მ. მიქანბა,
1918 წლიდან სკკ წევრი.

ბათუმი:

მე რუსი ვარ და საქართველოში, აჭარაში ვცხოვრობ. ბმუშაობ ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში. ათას სამასზე მეტი კაცია ჩვენს საქარხნო ოჯახში, თანაც უცვ ვერც კი ჩამოთვლით, იმდენი ეროვნებისა: ქართველები, რუსები, უკრაინელები, სომხები, ბელორუსები, ოსები...

აჭარის ყველა მშრომელთან ერთად მეამაყება და მახარებს სახალხო მეურნეობისა თუ კულტურის დარგებში მოპოვებული ის დიდი მიღწევები, რომლებითაც 60 წლის თავის იუბილეზე მოვედით. წლეულსაც ცოტა როდი გვაქვს გულგასახარი. აი საბჭოთა აჭარამ მეშვიდედ გაიმარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებაში და კვლავ სკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა.

ა. კლუჭნიკოვი,
ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის მეყალიბე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ცხინვალი:

...მეთერთმეტე ხუთწლედი ახალი აღმშენებლობის ხუთწლედი იქნება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით მნიშვნელოვნად მეტი კაპიტალდაბანდების ათვისება მოგვიწევს, ვიდრე მეათე ხუთწლედში. მარტო ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხნის პირველი რიგის მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება დაახლოებით 18 მილიონ მანეთს შეადგენს, ქ. ცხინვალში აშენდა „ბაღიათის“ მინერალური წყლის ჩამომსხმელი ახალი ქარხანა 40 კილომეტრი სიგრძის მინერალური წყალსადენით.

1981 წელს ცხინვალში ამუშავდა ტრიკოტაჟის საცვლების ფაბრიკა, სამრეწველო სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის ახალი კორპუსის მშენებლობას, გაისადაც მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდება ახალი წყალსადენების, საშენები და სხვა ნაგებობების მშენებლობისათვის...

სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის მასალებიდან.

6 ივლისი.

სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა არაერთგზის შეისწავლა და მოიწონა საქართველოს კომპარტიის მუშაობის გამოცდილება, გაანალიზა იგი მთელ პარტიას. ქვეყნის პარტიულ ორგანიზაციებში დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს არა მარტო საინტერესო ექსპერიმენტებს, რომლებიც რესპუბლიკაში ეწყობა ეკონომიკის, წარმოების მართვის დარგში, არამედ ორგანიზაციული და იდეოლოგიური საქმიანობის გამოცდილებასაც.

მთელ კავშირში აღიარეს და გაავრცელეს ხელმძღვანელი კადრების მონაწილეობა პროპაგანდისტულ მუშაობაში, დიფერენციული მიდგომა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფისადმი, ინდივიდუალური მუშაობის ფორმები და მეთოდები, კომკავშირული და პიონერული მუშაკების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, მეცნიერ, შემოქმედ და სტუდენტ ახალგაზრდობასთან მუშაობა.

საკმარისია გადახედოთ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მასალებს, ცენტრალური კომიტეტის პლენუმებისა და ბიუროების ოქმებს, რათა იგრძნოთ არატრადიციული, შემოქმედებითი მიდგომა პარტიული მუშაობის მრავალი სფეროსადმი. არა მარტო პარტიული ყრილობის მუშაობის დღეებში, არამედ დღესაც განაგრძობენ ნაყოფიერ საქმიანობას დელეგატთა სამუშაო ჯგუფები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ყურადღებით აანალიზებს და პრაქტიკულ საქმიანობაში იყენებს პარტიული, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, იდეოლოგიური მოღვაწეობის ძირეულ საკითხებზე კომუნისტთა, მშრომელთა მიერ გამოთქმულ წინადადებებს, მათს აზრს, პრობლემებს. მნიშვნელოვნად განმტკიცდა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კავშირურთიერთობა პარტიულ ორგანიზაციებთან, მშრომელთა ფართო მასებთან. ამაღლდა არჩევითი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების წევრთა, საბჭოების დეპუტატთა აქტიურობა და პასუხისმგებლობა.

პარტიული ორგანიზაციები ცდილობენ სულ უფრო მჭიდროდ, ორგანულად დაუკავშირონ იდეოლოგიური მუშაობა კონკრეტულ ეკონომიკურ, სახალხო-სამეურნეო ამოცანებს. სახალხო-სამეურნეო ამოცანათა გადაწყვეტის იდეოლოგიური უზრუნველყოფის საგულისხმო გამოცდილება შეიძინეს რესპუბლიკის გაზეთებმა, ტელევიზიამ და რადიომ.

ყოველივე ეს იმსახურებს ქებას და ფართოდ უნდა გავრცელდეს.

ე. ტიაჟელნიკოვი,
სკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

23 მაისი.

ქართული მწერლობა IX ყრილობაზე, როგორც ყოველთვის, შეიკრიბა იმის ღრმა შეგნებით, რომ მხატვრული სიტყვის ოსტატები კვლავაც წინა ხაზზე იქნებიან იმ დიდ მიზანდასახულობათა შესრულებისათვის ბრძოლაში, რომლებსაც რესპუბლიკის კომპარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი ასე თანამიმდევრულად და ტაქტიანი თავდადებით ახორციელებს.

ყრილობამ აირჩია საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის ახალი შემადგენლობა, რომელმაც ესტაფეტად მიიღო დიდი ტრადიციები. ამ ტრადიციების სრულყოფა და განვითარება ჩვენი უპირველესი საზრუნავია.

ჩვენი თანამედროვე ადამიანი, მისი საგმირო საქმენი წელსაც არაერთგზის, მაღალოსტატურად აისახა ქართველი მწერლების ბევრ ნაწარმოებში. ისინი სპეციალური მივლინებებით მიდიოდნენ ჩვენს სახელოვან მუშებთან, კოლმეურნეებთან, ეცნობოდნენ მათს მეამართებულ შრომას, და მკითხველმა იცის თუ რა ნაყოფიერი იყო მხატვრული სიტყვის ოსტატებისათვის ყოველივე ეს.

ფეხბედნიერ ახალ წელს ვუსურვებ ჩემს რესპუბლიკას, მისთვის გამრჯე და დამაშვრალ ყოველ ადამიანს! აკვნების სიმრავლე და სიხოროული დაგვებედოს!

30 მარტი

თანამედროვეობა — მთავარი თემა

ნოდარ დუმბაძე,
საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე:

რის გამგეობის ახალი შემადგენლობა, რომელმაც ესტაფეტად მიიღო დიდი ტრადიციები. ამ ტრადიციების სრულყოფა და განვითარება ჩვენი უპირველესი საზრუნავია.

ჩვენი თანამედროვე ადამიანი, მისი საგმირო საქმენი წელსაც არაერთგზის, მაღალოსტატურად აისახა ქართველი მწერლების ბევრ ნაწარმოებში. ისინი სპეციალური მივლინებებით მიდიოდნენ ჩვენს სახელოვან მუშებთან, კოლმეურნეებთან, ეცნობოდნენ მათს მეამართებულ შრომას, და მკითხველმა იცის თუ რა ნაყოფიერი იყო მხატვრული სიტყვის ოსტატებისათვის ყოველივე ეს.

ფეხბედნიერ ახალ წელს ვუსურვებ ჩემს რესპუბლიკას, მისთვის გამრჯე და დამაშვრალ ყოველ ადამიანს! აკვნების სიმრავლე და სიხოროული დაგვებედოს!

ნიშანსვეტები

1981

22 ოქტომბერი.
თბილისში გაიხსნა საბჭოთა მუსიკის საკავშირო ფესტივალი.

25 ოქტომბერი.
გაიმართა საქართველოს დედაქალაქის დღესასწაული „თბილისობა“.

30 ოქტომბერი.
მოეწყო რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის 100 წლის თავის იუბილე.

5 ნოემბერი.
კუთაისში გაიხსნა დიდების მემორიალი.

6 ნოემბერი.
გამოქვეყნდა სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის 1981 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების მინიმეგების შესახებ. საქართველოდან ლაურეატები: გაზეთები: ბ. ამბარცუმიანი, ბ. ლორთქიფანიძე, ბ. ბაბუსკირია, ლ. ნამგალაშვილი, კ. ბუციშვილი, ო. ფეღვინეთუხუცესი, თ. არაჩავაძე.

7 ნოემბერი.
გამოქვეყნდა სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოგებინანეებისათვის თვალსაჩინო შრომითი მიღწევების გამო 1981 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების შესახებ. ჩვენი რესპუბლიკიდან ლაურეატები: გაზეთები: თბილისის საუნე მასალათა კომბინატის მხატვარი ე. შუბითიძე, ბიათურის სამშენებლო კომბინატის გვირაბგამყვანი ბ. კაბანაძე და აბაშის რაიონის სოფელ პიროველი მაისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სარძეო სასაქონლო ფერმის გამგე ე. თურაშია.

18 ნოემბერი.
მ. ი. თუმანიშვილს „სსრ კავშირის სახალხო არტისტის“ წოდება მიენიჭა.

24 ნოემბერი.
გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმი. პლენუმზე მოხსენება გააკეთა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

27 ნოემბერი.
რ. ბ. ჩხიკვაძეს „სსრ კავშირის სახალხო არტისტის“ წოდება მიენიჭა.

10 დეკემბერი.
თბილისში გაიხსნა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „მარქსიზმ-ლენინიზმი და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები“.

17 დეკემბერი.
დაიგეგმა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოლოცვა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკებისადმი, მეცნიერებისა და სპეციალისტებისადმი, კარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკებისადმი, ყველა მშრომელისადმი.

19 დეკემბერი.
ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს 75 წელი შეუსრულდა.

31 დეკემბერი.
წინასაახალწლო დღეებში ცნობილი გახდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის „ხუთწლედის მატიანის“ 1981 წლის ლაურეატები ლიტერატურის, ხელოვნების და არქიტექტურის დარგში. (დაწვრილებითი ამის თაობაზე ქვეყნდება გაზეთის დღევანდელი ნომრის მესამე გვერდზე).

22 იანვარი. საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა.

იოსებ ნონეშვილი

მაშ გვიყვარდეს...

ეს ლექსი დღეს პირველად ქვეყნდება. იგი 1980 წლის 19 სექტემბერს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში ტყის მუშაკის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე წაიკითხა იოსებ ნონეშვილმა. ეს უკანასკნელი გამოსვლა იყო აუდიტორიის წინაშე პოეტისა, რომელიც თავისი კაცურ-კაცობით, დიდი მართალი გულით და კეთილი საქმეებით კვლავაც ჩვენს გვერდით არის და ქვეყნის, მამულის სიყვარულს გვასწავლის.

გავუფრთხილდეთ, მზე
რომ მზეობს,
წყაროს, ბუჩქნარს, ველს
თუ ველობს.
უამთებოდ, უამტკეოდ
არ იქნება საქართველო!..
რა იქნება საქართველო!..

ჩვენ ხომ გული ვაუკაცური
დაგვაყოლეს მწვერვალებმა,
თვალებში გვაქვს ჩახატული
ქართული ცის ელვარება.

ეს ხომ დედა ბუნებაა,
შვილებს როდი გვაშიშვლებს,
მის ძუძუს ვწოვთ ჩვენდა
ბედად.
მაშ გვიყვარდეს, როგორც
შვილები.

გამჩენელიც, მარჩენალიც,
დამმარხველიც ის ყოფილა,
მისი ძუძუ შუქმადლმჩენი,
შერცხვეს, ვინც ვერ
იმყოფინა.

ჩვენ ხომ გვჯერა აქ დაბერტყა
ღმერთმა კალთა უხილავი,
ჩვენი გულიც მიტომ მეტად
კეთილი და უხვი არის.

ეს ხომ დედა ბუნებაა,
მის ძუძუს ვწოვთ ჩვენდა
ბედად.
მაშ გვიყვარდეს, როგორც
შვილებს,
მაშ გვიყვარდეს, როგორც
დედა!..

მთიანს, ტყიანს, მდინარიანს,
ბუნებით რომ ათასფერობს,
ჭიხვ-არჩვიანს, ველ-ირმიანს,
ხობობ-კაკაბ-დურაჯიანს
გაუმარჯოს საქართველოს!

რესპუბლიკა აღმშენებლობის გზაზე

მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის ასამოქმედებელი ობიექტების დათვალიერება

30 დეკემბერს საქართველოს სსრ ხელმძღვანელები განაგრძობდნენ მსხვილი და პერსპექტიული ახალმშენებლობების დათვალიერებას. მათთან შეხვედრის დროს მშრომელები ამაყად მოახსენებდნენ მიმდინარე, საიუბილეო წელს თავიანთი შრომითი საქმიანობის შესახებ, როცა მშრომელი საქართველო ხელდაკაპიწებული მუშაობდა გაორკეცებული ენერგიით, საქმით უპასუხებდა რესპუბლიკის 60 წლის თავის გამო გამართულ ზეიმზე მისი უძვირფასესი სტუმრის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის განაწესებს.

მშრომელებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას საქართველოს თითოეული რეგიონის, თითოეული რაიონის, ქალაქისა და სოფლის აყვავებაზე, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე დაუცხრომელი ზრუნვისათვის.

ახალი მსხვილი სამრეწველო საწარმოების კორპუსები თუ მეცხოველეობის კომპლექსები, საცხოვრებელი სახლები თუ ელექტროგადამცემი ხაზები, რკინიგზის ლიანდაგები თუ საფრინველეები, რომლებიც წელს ახალშენებათა რუკაზე გამოჩნდა, ეს მარტო ქვა და აგური, ბეტონი და რკინა, უბრალოდ უსულგულოდ აშენებული შენობები და ნაგებობები კი არა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის ნაწილია, რომელსაც საფუძვლად უდევს ზრუნვა ადამიანთათვის, მისი კეთილდღეობისათვის.

ეს პროგრამა ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიული პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იმ დადგენილების განხორციელების მთელი კურსის ქვაკუთხედია, რომლის მეათე წლისთავსაც ღირსეულად აღნიშნავს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

მტკიცდება მთის მხარის ინდუსტრია

ცხინვალი. სამხრეთ ოსეთის ინდუსტრია ჩქარი ტემპით ვითარდება. უკვე მომავალი წლის ადრე გაზაფხულზე აქ საექსპლოატაციოდ გადაეცემა მექანიკური ქარხანა. აგებულია ყველა ძირითადი საწარმოო კორპუსი, მიმდინარეობს მათი კეთილმოწყობა: ღობეა, მოპირკეთება და ა. შ. გაყვანილია კომუნიკაციები. მარტო დეკემბერში წარმოებულია 100 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები — გეგმის გადაჭარბებით 30 ათასი მანეთით მეტი. აღებული ტემპი წინათ დაშვებული ჩამორჩენის აღმოფხვრის საშუალებას იძლევა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელსაც რ. გაგლოევი ხელმძღვანელობს. ახალი წლის წინ ბრიგადამ სამშობლოს უპატაჟა, რომ მისთვის დაკისრებული მთელი სამუშაოები ვადაზე ბევრად ადრე შეასრულა და ისინი შეესაბამება ხარისხის ზოთხოვნებს.

ამ ბრიგადას მხარს უსწორებენ დანარჩენები. მთელმა კოლექტივმა გადაწყვიტა, ვადაზე ადრე ამოქმედოს ობიექტი.

მალე იქნება მზად სამუშაო ფრონტი ისეთი დიდი სამონტაჟო სამმართველოებისა და ტრესტებისათვის, როგორიც არის „საქმეკანმონტაჟი“, „მრეწველტელეკომი“, „თბომშენი“, „თერმოიზოლაციი“, მრეწველკაშრომონტაჟი“ და სხვები. მათ ზუსტ, შეთანხმებულ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული საერთო შრომის საბოლოო შედეგი.

მექანიკური ქარხნის სამშენებლო მოედანზე იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარაძე და საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. ხა-ნაკოევი. მათ აღნიშნეს მშენებლთა მიერ გაწეული დიდი მუშაობა და ამავე დროს თქვეს რომ საჭიროა ახალი რეზერვების გამოვლენა ამა თუ იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საწარმოს მომავალ მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებს.

სტუმრებმა დაათვალიერეს მომავალი საწარმოს ადმინისტრაციულ კორპუსში მოწყობილი სასადილო.

— № 11 ტრესტის კოლექტივს არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ შესწევს დასახული მიზნის მიღწევის უნარი, — თქვა ტრესტის უფროსმა მ. ტიგიევმა. — ამას დასადასტურებლად საკმარისია, მაგალითად, მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ მიმდინარე წელს ვადამდე გადაეცა საექსპლოატაციოდ ცხინვალის ტრიკოტაჟის საცვლების ფაბრიკა.

ამხანაგებმა ზ. ა. პატარაძემ და ფ. ს. სანაკოევმა გამოთქვეს რწმენა, რომ ახალი ობიექტიც დასახულ ვადებში ამოქმედდება. მისი ამოქმედება ხელს შეუწყობს ამ მთის მხარეში კადრების შემდგომ დამკვიდრებას.

ამხანაგები ზ. ა. პატარაძე და ფ. ს. სანაკოევი ეწვივნენ აგრეთვე 200 ავტომანქანისათვის განკუთვნილ სამგზავრო-სატრანსპორტო საწარმოს, ცხინვალის ტრიკოტაჟის საცვლების ფაბრიკას, ქვაისის ტყვია-თუთიის მაღაროსამმართველოს, ჯავის რაიონის წონის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობას, დაათვალიერეს ახალი ხიდი მდინარე ქსანზე.

საკურორტო ახალმოსახლეობა

გაგრა. ამ საახალწლო დღეებში ახალმოსახლეობისათვის ემზადება გაგრის სასტუმროს 15 სართულიანი შენობა. უკვე იანვარში 230 კომფორტულ ნომერში შესახლდებიან ქალაქ-კურორტის პირველი სტუმრები.

ზედ შავი ზღვის სანაპიროსთან აღმართულა აფხაზეთის ამ უდიდესი სასტუმრო კომპლექსის მზით გაჩახჩახებული სართულები. პირველ სართულზე განლაგებულია ადმინისტრაციული და საყოფაცხოვრებო სამსახურები, ბოლო სართულზე გაიხსნება 150-ადგილიანი ბარი და სოლარიუმი.

რ. ნინუამ, საქართველოს სსრ ჯამრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 მთავარი სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსმა, რომლის კოლექტივმა აგო ორიგინალური არქიტექტურის ეს მაღლივი შენობა, დღეს სიმბოლური გასაღები გადასცა სასტუმროს დირექტორს ნ. ხიშბას.

ზღვასა და მთებს შორის მდებარე ქალაქი კურორტის არქიტექტურულ ანსამბლს კარგად შეერწყა კიდევ ერთი დიდებული შენობა. დასასრულს უახლოვდება 210 საწოლიანი კლიმატურ-ბალნეოლოგიური სარეაბილიტაციო ცენტრის პირველი რიგის მშენებლობა. შემჭიდროებული ასამოქმედებელი გრაფიკით შრომობენ აქ წლის მიწურულს ბზიფის ექსპერიმენტული სახლსაშენებელი კომბინატის პირველი სამშენებლო სამმართველოს მუშები, რომლებსაც ბ. არშბა ხელმძღვანელობს.

გაგრის ახალმშენებლობებს გაეცნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. ა. ანდრონიკაშვილი** და პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ბ. ვ. ადლეიბა.**

ქარხანა... ქარხანაში

ახალქალაქი. ახალქალაქის ყველისა და კარაქის ქარხნის სამტატო განრიგში დამატებითი სტრიქონია შეტანილი: საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებისა და ავტომატიკის ინკინერი. აქ ამ თანამდებობის შემოღება დაკავშირებულია საწარმოს რეკონსტრუქციისა და გაფართოების სამუშაოთა დამთავრებასთან.

სასოფლო მშენებლობის სამინისტროს №14 ტრესტის მე-18 მოძრავი მექანიზებული კოლონის მუშაკებმა ააგეს ორი კორპუსი: ძირითადი-საწარმოო და დამხმარე კორპუსები. პირველ კორპუსში განლაგებულია საამქრო და უბნები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან ევროპული და ადგილობრივი ყველის, რძის სხვა პროდუქტების დამზადებასთან. აქვეა საწარმოო-ტექნიკური ლაბორატორია, საყოფაცხოვრებო სათავსები, სასადილო. მეორე კორპუსში განლაგებულია საკომპრესორო საამქრო, საწყობები და სარემონტო სახელოსნოები.

— ქარხნის ტერიტორიაზე ახალი დიდი საწარმოს, ფაქტობრივად ქარხნის მშენებლობამ, — თქვა პარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. შუღაროვმა, — რძის პროდუქციის წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის, მათი წარმოების გადიდების, ხარისხის გაუმჯობესების ყველა საჭირო პირობა შექმნა.

— ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ახალქალაქის ქარხნის რეკონსტრუქციის მნიშვნელობა, — თქვა რესპუბლიკის ხორციისა და რძის მრეწველობის მინისტრის მოადგილემ რ. ნიკარაძემ. — იგი საქართველოს ამ ერთ-ერთი ძირითადი მეცხოველეობის რაიონში ფარგლებს ცდება, ახლა საწარმოს შეუძლია მეზობელი რაიონების მეურნეობებიდანაც მიიღოს რძე. და კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ მოსახლეობისთან კოოპერაციის განვითარების გეგმაში გაიზრდება მოსახლეობისაგან რძის შესყიდვის მოცულობაც.

ყველა ეს ფაქტორი უეჭველია ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში სასურსათო პროგრამის წარმატებით შესრულებას.

ახალქალაქის ყველისა და კარაქის ქარხანაში აგებული ახალი ობიექტები დაათვალიერა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ზ. ა. ჩხეიძემ.** იგი გაეცნო აგრეთვე თუ როგორ მიმდინარეობს რაიონულ ცენტრში ბაგირგზების მოწყობილობის დამამზადებელი ქარხნის მშენებლობა, ეწვია სოფლების არაკვინა და ორჯის კომლეფურნეობათა ფერმებს, ხოსპიოს მეცხოველეობის სასუქებელ კომბლექსს, რაიონის ახალ კულტურის სახლს, გაეცნო ქალაქისა და რაიონის სხვა ახალშენებლობებს.

ბოგდანოვკა. უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტაში — შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებაში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში დიდ სამრეწველო საწარმოთა ფილიალების ორგანიზაციას. საქართველოში ასეთი ობიექტების რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება. ბოგდანოვკის რაიონში მოსახლეობის დასაქმების პრობლემის გადაწყვეტას ხელი უნდა შეუწყოს საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონის“ ფილიალებმა, რომლებიც მოქმედებენ დაბა ბოგდანოვკაში, სოფლებში გონდრიოსა და ეშტიაში.

30 დეკემბერს ერთ-ერთი ამ ფილიალს — ბოგდანოვკის ტრიკოტაჟის ფაბრიკას ეწვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ზ. ა. ჩხეიძე.** იგი იყო აგრეთვე ბოგდანოვკის მეცხოველეობის კოლმეურნეობა-კომბლექსში, რომელიც გათვალისწინებულია სამი ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის, დაათვალიერა გორელოვკის რძის კომპლექსი, სოფელ სპასოვკის სარძეო-სასაქონლო ფერმა.

ახალმშენებლობანი სუბტროპიკებში

ბათუმი. მომავალი პედაგოგები — მათემატიკოსები და ფიზიკოსები, ბიოლოგები და გეოგრაფები, ისტორიკოსები და ლიტერატორები შეიკრიბნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ახალ შენობასთან.

მეორე სასწავლო კორპუსის საექსპლოატაციოდ გადაცემისადმი მიძღვნილ მიტინგზე პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. რ. პაპუნიძემ** სტუდენტებს, პროფესორებს, დოცენტებს, მასწავლებლებს მიულოცა ამ უმაღლესი სასწავლებლის ცხოვრებაში მომხდარი დიდი მოვლენა და უსურვა მათ ახალი წარმატებები ყოფნის ამ ახალ-ახალ ადგილებში.

ვ. რ. პაპუნიძე და საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ი. ნ. ორჯონიკიძე** ესაუბრნენ სტუდენტებს, მასწავლებლებს, გამოიკითხეს, თუ როგორ არის დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, აღჭურვილია თუ არა ლაბორატორიები და კაბინეტები თანამედროვე მოწყობილობით, რა პერსპექტივები აქვს უმაღლეს სასწავლებელს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ისინი იყვნენ „დიდი ბათუმის“ ქვესადგურში, რომელსაც მიეერთებენ ენგურის კასკადის ვარდნილი ჰიდროელექტროსადგურის ახალ ელექტროგადამცემ ხაზს. ეს მეორე ხაზი უზრუნველყოფს ავტონომიური რესპუბლიკის შეუფერხებელ ენერგომომარაგებას. ვ. რ. პაპუნიძე და ი. ნ. ორჯონიკიძე ესაუბრნენ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლებსა და მემონტაჟეებს, ექსპლოატაციის დარგის ენერგეტიკოსებს, გაეცნენ აჭარის ასს რესპუბლიკაში უდიდესი ქვესადგურის ახალ ობიექტებს, იყვნენ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალსოფელში მებოცვერეობის კომპლექსის მშენებლობაზე. ქობულეთის რაიონში მათ დაათვალიერეს სოფელ ხუცუბნის სასათბურე მეურნეობა და ქობულეთის პროფტექნიკური სასწავლებლის ახალი შენობა, რომელიც ახლახან ჩაბარდა.

წვლილი სასურსათო პროგრამაში

გარდაბანი. კალენდრის მიხედვით ზამთარია, მაგრამ კრწანისის სასათბურე კომბლექსში, რომელსაც 18 ჰექტარი უკავია, ხალხი საგზაფხულო გაწყობილებით მუშაობს. აქ იღებენ ახალ კიტრსა და პამიდორს, რომლებიც დაამშვენებს და სურნელს შემატებს თბილისელებისა და რუსთაველების საახალწლო სუფრას. ამ ვიტამინიან პროდუქტებზე მათი მოთხოვნილებანი ზამთრის პერიოდში უფრო სრულად დაკმაყოფილდება მეურნეობის სიმძლავრეთა გაფართოების შედეგად.

ახალი წლის წინ რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საქსათბურმშენის № 8 სპეციალიზებული ტრესტის მშენებლებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს კომბლექსის მეორე რიგი, რომლის ფართობი 12 ჰექტარს შეადგენს.

ობიექტის ამოშვების დღეს აქ ჩამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. მ. სარაძე.** ან დაათვალიერა მეურნეობა, რომლის სიმძლავრენი ამიერიდან წელიწადში აწარმოებენ 4500 ტონა ბოსტნეულს — თითქმის ორ-ნახევარჯერ მეტს, ვიდრე დღემდე ამზადებდნენ.

ამ „მინის სამეფოს“ გულია მასპინძელმა — რესპუბლიკური გაერთიანება საქსათბურის თავმჯდომარემ რ. ფანცხავამ სტუმრებს უჩვენა კიდევ ერთი საახალწლო სიუპრიზი. ეს ქამა-სოჭის მოსაყვანი სასათბური კომბლექსია, რომელიც მწყობრში ჩადგომის შემდეგ, რაც 1982 წლის მეორე ნახევარში მოხდება, წელიწადში აწარმოებს 500 ტონა სოჭს.

ამავე დღეს ვ. მ. სარაძე ეწვია რაიონის მეორე ახალმშენებლობას — მარტყოფის მებოცვრეობის კომბლექსს, რომელიც 5000 ცხოველისთვის არის გაკუთვნილი. აქ უკვე ჰყავთ 3000 დედა ბოცვერი. სრული სიმძლავრით ამოქმედების შემდეგ საწარმო წელიწადში გამოუშვებს 130 ტონა ბოცვრის ხორცსა და 30 ათასზე მეტ ტყავს.

ტყე შეუნახე ცეცხლს!

ორჯონიკიძე. რაიონულ ცენტრ ორჯონიკიძის დასახლებასა საახალწლო სუფრის კერძებს პირველად დაამზადებენ ბუნებრივ გაზზე.

24 კილომეტრზე გადაჭიმულ საგურამო-ქუთაისის ძირითადი გაზსადენის განშტოება. მაღალ მთებში, უსიერ ტყეებში, ბობოქარ მდინარეებზე გადის გაზსადენის ფოლადის ხაზი. შუაგზაზე გაზსანაწილებელი სადგური მდებარეობს, დაბაში — გაზსარეგულირებელი პუნქტი. განშტოებას აშენებდნენ გორის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოსა და საქართველოს სსრ გაზიფიკაციის საერთაშორისო „საქრეგგაზის“ ასამოქმედებელ-გასამართავი სამმართველოს კოლექტივები.

30 დეკემბერს ორჯონიკიძეში გაიმართა გაზსადენის ამოქმედებისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო მიტინგი, რომელსაც დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგე **ბ. დ. მახარაშვილი.**

— შესრულებულია 1.800 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, — ამბობს საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ლონგინაძე. — გაზით ჯერჯერობით რამდენიმე სახლი იქნება უზრუნველყოფილი, საგანგებოდ კი დაგეგმილია გაზის ქსელების არსებითი გადიდება.

რა სარგებლობა მოგვიტანა ბუნებრივმა გაზმა! ალარ მოგვიწევს თხვევადი გაზის बალონების გამო წვალება, — თქვა დიასახლისმა ვ. აბაშიძემ. — ბალონი ყიდვა, მისი შეცვლა, დაყენება, ჩართვა უამრავ დროს გვართმევდა. ახლა ყველაფერი სხვანაირად იქნება.

— ამ ბოლონებს ჩვენში ათობით სატვირთო მანქანა დაატყრიბდა, — ჩაება საუბარში ორჯონიკიძის რაიონის გაზის კანტორის უფროსი შ. დევდარიანი.— იხარჯებოდა ბენზინი, მოუცლელი იყვნენ მძღოლები, ექსპედიტორები. ხარაგოულში ბუნებრივი გაზის მოსვლასთან ერთად ეს ხარჯები მნიშვნელოვნად შეცირდება და დაიზოგება დიდძალი ხე-ტყე.

ახალმშენებლობათა გეოგრაფია: თოვლიანი მთებიდან მწვანე ველებამდე

ყაზბეგი. 500 ჰექტარით გაიზარდა მაღალმთიანი ყაზბეგის რაიონის მეცხოველეობის საკვები ბაზა. სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში მოექცა მიწა, რომელსაც წინათ ხშირად ტბორავდა ხოლმე ადიდებული სნოს წყალი. ეს მოხდა იმის შედეგად, რომ საექსპლოატაციოდ გადაეცა თიბქმის კილომეტრი სიგრძის სარინი ბეტონის არხი.

მიმდინარე წელი ახალმშენებლობათა წლად იქცა ამ მხარეში. ბუნებრივი გაზი გაიყვანეს ყველაზე შორეულ მთის სოფლებში, რაიონის რუკაზე გაჩნდა ახალი გზები, სამრეწველო საწარმოები და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტები.

აი, ყაზბეგის რაიონის კიდევ რამდენიმე ახალი ამბავი:

ზედ საახალწლო არდადეგების წინ სოფელ გორისცხოს თითქმის 60 ბავშვი მივიდა ახალი სკოლის ეარეულ საკლასო ოთახებში. სკოლა ადგილობრივი საწოფლო საბჭოს ამორჩეველთა განაწესით აშენდა...

ხუთასამდე დამსვენებლის მიღება შეუძლია საქართველოს სამხედრო გზის მახლობლად მდებარე ტურისტულ ბაზას, რომლის მშენებლობაც ახლახან დამთავრდა...

ონი. ონის რაიონის მცხოვრებთ შრომასა და ყოფა-ცხოვრებას უადვილებს ტექნიკა. ერთ საათზე მეტ დროს უზოგავს ირის მაღაროსამმართველოს მუშა-მოსამსახურეებს სამკილომეტრიანი ბაგირგზა, რომელიც ახალი წლის წინ ამუშავდა. ახლა აღარ არის საჭირო მთის მიხვეულ-მოხვეული 35-კილომეტრიანი გზის გადალახვა ავტომანქანით შინიდან მაღაროებში მისასვლელად და უკან დასაბრუნებლად.

ტექნიკამ იცხრა პიპილეთისა და შეუბნის საბჭოთა მეურნეობებია საკვებმწარმოებლების, მესაქონლეების და მწველავების მუშაობის ძირითადი სიმძიმე. ამ დღეებში მშენებლებმა მათ საექსპლოატაციოდ ჩააბარეს ორი ახალი მექანიზებული სარძეო-სასაქონლო ფერმა, რომელთაგან თითოეული 200 ძროხისთვის არის გათვალისწინებული.

მაღალი მთის საძოვრებიდან სოფელ შქმერში თივის ჩამოსაზიდად გაყვანილი ბაგირგზა, ახალი 15-კილომეტრიანი მოსაფალტებული გზა, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების 28 რეკონსტრუირებული და კეთილმოწყობილი ობიექტი, რაიონულ ცენტრში აშენებული ცენტრალური საკვაბე — ახეთია იმ სიახლეთა არასრული ნუსხა, რომლებიც რაიონს შეემატა წელს.

ზუგდიდი. შენდება, ფართოვდება ქალაქი. ინგრევა ძველი სახლები, რომელთა ადგილს მრავალსართულიანი თანამედროვე ნაგებობები იკავებს. ახლანდელი ბაზრის მახლობლად მალე თანამედროვე სავაჭრო ცენტრი გაჩნდება. მდინარე ჩხოუშის მარჯვენა ნაპირზე განლაგდება სპორტული კომპლექსი. ქალაქის ცენტრში წამოიმართება 300-ადგილიანი სასტუმროს 8-სართულიანი კორპუსი. აქვე უნდა აიგოს თეატრი, რომელიც ცენტრალურ ბულვარს დაამშვენებს, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, მდინარე კუჩხობანის მახლობლად ხელოვნური წყალსატევის გარშემო შექმნილი დასვენების ზონა, სატრანზიტო ავტოსაგზაო მაგისტრალი... ყველაფერი კეთდება ზუგდიდის, რაიონული ცენტრის, მთელი რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის.

იზრდება მეზობელი **წალენჯიხის** რაიონიც, აქაც შენდება ახალი სახლები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სხვა დანიშნულების დაწესებულებანი. ახალი წლის წინ აშენდა სბავშვო ბაღი.

წელს ზუგდიდში ამუშავდა სამი, წალენჯიხაში კი ოთხი ჩაის ფაბრიკა, რომელთა საერთო წლიური სიმძლავრეა 35 ათასი ტონა ნედლეული.

უპატაკებენ აბაშელები

აბაშა. აბაშის რაიონის მშრომელები ახალ წელს, ტრადიციასებრ, ახალმშენებლობებით ხვდებიან: აქ ამოქმედდა მძიმე ტრაქტორების სარემონტო ქარხანა, რომელიც წელიწადში 1000 ტრაქტორს მოემსახურება, საწარმო უკვე შეუდგა პირველი შეკვეთების რეალიზაციას. ქარხნის ამოქმედება უზრუნველყოფს რესპუბლიკის ყველა რაიონის მოთხოვნილებას ამ მანქანების შეკეთებაზე.

აბაშაში ყველა შესაძლებლობას და მთელ რეზერვებს იყენებენ მუშაობის პროგრესული მეთოდების გათვალისწინებით ტექნიკური მომსახურების ორგანიზაციისათვის. ეს მით უფრო საჭიროა საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის ტექნიკის მომზადების პერიოდში. აბაშელებმა, რომლებმაც ამას წინათ რესპუბლიკის ყველა მექანიზატორს მოუწოდეს გამაერთ სოციალისტური შეჯიბრება საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მანქანა-ტრაქტორთა პარკის დროული და ხარისხიანი მომზადებისათვის, ვალდებულება იკისრეს, კერძოდ, 1 თებერვლისათვის მოამზადონ ტრაქტორები, მათ შორის მძიმე ტრაქტორები, აგრეთვე სათესი და ნიადაგდასამუშავებელი აგრეგატები.

მახარაძე. წლის ბევრ ახალმშენებლობას შორის მახარაძელები ორს უკვე შეეჩვივნენ. სამქმე ის არის, რომ აქ შექმნილი რაიონული სასოფლო-სამეურნეო გაერთიანების მუშაობა რაიონს საშუალებას აძლევს ყოველწლიურად საკუთარი სახსრებით აშენოს ახალი სკოლა და საბავშვო ბაღი. წელეულს მწყობრში ჩადგა საბავშვო ბაღი სოფელ შემოქმედში და სკოლა სოფელ თხინვალში, ბახვი კი ახალ შენობაში გადავიდა ერთბაშად ორი დაწყებითი სკოლა, სადაც 180 ბავშვი სწავლობს.

ახალსახლობა იზეიმეს წლეულს მეცხოველეებმაც. სოფელ თხისპირში ამუშავდა 100 სული საქონლისათვის გათვალისწინებული ახალი ფერმა. თანამედროვე მოწყობილობის წყალობით აქ სულ ოთხი კაცი მუშაობს. ახალი ფერმა განამტკიცებს რაიონის მეცხოველეთა წლეანდელ წარმატებებს, რომლებმაც უკვე გადაჭრებინა შეასრულეს რძისა და ხორცის ჩაბარების გეგმა.

მახარაძელ მეჩაიეთა შემოსავალს, ალბათ, ბევრი ვერაფერი შესძინა 80 ათასმა მანეთმა, როგორც შემოქმედში მიიღეს პირველი საკოლმეურნეო ჩაის მიკრო ფაბრიკისაგან. მაგრამ თვით სოფლისა და მრეწველობის პარტნიორობის პრინციპმა წარმატებით გაუძლო გამოცდას და მისმა შედეგებმა განსაზღვრა მომავალი წლის გეგმები —რაიონში მომდევნო სეზონისათვის კიდევ სამი ასეთი ფაბრიკა უნდა აშენდეს, ხოლო რაიონული ცენტრის ყველა მცხოვრებს მომავალი წლის სახსოვრად დარჩება მუსიკალური შადრევანი, საფირმო მაღაზიები „ლაღიძის წყლები“ და „ჩაის კონცენტრატი“, რომლებმაც დაამშვენეს ქალაქი მახარაძე.

ლენტეხი. წლეანდელ წელს რაიონის მშრომელები ქმაყოფილების გრძნობით მიაცილებენ: კიდევ უფრო გალამაზდა და კეთილმოეწყო ლენტეხი. ბოლო ხანს აქ ბევრი სახალხო-სამეურნეო და კულტურული დანიშნულების ობიექტი გაჩნდა. აი რამდენიმე მათგანი:

ქალაიდანის მთამდე გაყვანილმა ბაგირგზამ საგრძნობლად გააადვილა თიეის ტრანსპორტირება, რომელსაც ახლა რიტმულად იღებენ რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმები. მთები უფრო მოსაწვდომი გახდა იმის წყალობითაც, რომ მთაკენ გაყვანილია ხუთკილომეტრიანი მოსაფალტებული გზა: ახლა სულ ცოტა დროა უნდა მსუყე საძოვრებამდე და საკვებ სავარგულებამდე მისვლას.

„კოოპმშენის“ მშენებლებმა აგეს უზარმაზარი მაცივარი, რომელიც ერთდროულად 100 ტონამდე პროდუქტს იტევს.

სოფელმა ლესემამ საჩუქრად მიიღო სკოლა-ინტერნატი—ყველა საჭირო სათავსოსა და კაბინეტის მქონე ახალი შენობა. დაბა ლენტეხში აღიმართა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი, 40-ზე მეტი ოჯახი შეხვდება ახალ, 1982 წელს;

რაიონში ამოქმედდა ახალი სარწყავი სისტემაც. იგი საკოლმეურნეო და საკარმიდამო სავარგულებს მორწყავს.

— ახალი წელი რაიონში სხვა ახალი ობიექტების მშენებლობით დაიწყება,—უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ლენტეხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. ტვილდიანმა. — მშენებლობას განვაგრძობთ!

(საქინფორმი).

საბჭოთა სახელმწიფოს 60 წლის თავს — 60 დიდ მკვრლური კვირა... ... დიდიზიზით შრომ ... მთელ ჩვენს ხალ... ერთად საქართველ... მშრომელები

რკინიგზელთ წარმატებ...

„სსრ კავშირის შექმნის ... წლისთავს — 60 დამკვრ... შრომითი კვირა“. ... ამიერკავკასიის რკინიგზის ... მელებმა ფართოდ გაშალეს ... ციალისტური შეჯიბრება ... XXVI ყრილობის გადაწყვეტ... ბათა განხორციელებისათვის. 28 დეკემბრისათვის შეასრ... სახალხო-სამეურნეო ტვირ... დატვირთვისა და გაგზ... წლიური გეგმა. ეს წარმ... დაკისრებული მოვალეობის... მგზავრალის მშრომელთა შ... ქმედებითი მიდგომის, ... ნისძიებათა განხორციელ... შედეგია, რომელთა მიზანია ... რთზდგის პროცესის ეფექტ... ბის შემდგომი ამაღლება.

მგზავრალის კოლექტივი ... დამლევამდე გეგმის გადაჭ... ბით გაგზავნის 600 ათას ... სახალხო-სამეურნეო პროდ...

დაბადებ... ოთხმოცდაერთ...

სოჩელ ამ წლიდან ... სამხრეთ ოსეთის ავტონომ... ოლქის უდიდესი საწარმო, ... ცხინვალის ტრიკოტაჟის საცვ... ფაბრიკის შრომითი ბიოგ... და არა მარტო თვით საწარ... არამედ მთელი დარგის — ... კოტაჟისა.

— ფაბრიკამ უკვე გამო... მილიონი ნაწარმი, — თქვა ... დირექტორმა მ. კასრაძემ, — ... არის შვიდი დასახელების ... დუქცია. მას უკვე გაეცნენ ... ლისის, ქუთაისის, რუსთ... ცხინვალის, გორის, სამტრედ... სტავროპოლისა და გორკის ... ხმარებლები. საწარმო ... პროდუქციის გამოშვებას, ... ბა პროგრესული მოწყობილ...

ფაბრიკის ამოქმედებამ ... მარტო მნიშვნელოვნად გააფ... თოვა მთიანი მხარის ინდუს... ული პროდუქციის ნუსხა, ... გადაჭრა კიდეც მნიშვნელო... სოციალური საკითხები. ... წარმოებამ სამუშაო მისცა ... ზე მეტ ქალს, წესრიგიდან ... სნა მათი დასაქმების პრობ... საოლქო ცენტრში. საოლქო ... ვრებული ქალიშვილები, ... ლისები დაეუფლნენ მქსოველ... მოტორისტი მკერავების, ... ბის თანაშემწეების, მერქმ... ბის მაღალ კვალიფიკაციას.

საწარმო ჯერ კიდევ ... ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე ... დამსახურებული ნოვატორ... მოწინავეები. სსრ კავშირის ... მნის მე-60 წლისთავის ღირს... შეხვედრისათვის გაშლილ ... რებები ჩინებულ შედეგებ... წლეულ მქსოველები ელენე ... ევა, ძერა კაბულოვა, ლუ... იუდინა, მოტორისტი ... ელენე ჩეხოვა, და ბევრი ...

(საქინფორ...

საქართველოს კამერული ორკესტრის წარმატება

30 დეკემბერს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტი გამართა საქართველოს სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა, რომლის მხატვრული ხელმძღვანელი და დირიჟორია რესპუბლიკის სახალხო არტისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ლიანა ისაკაძე.

კონცერტის პროგრამაში იყო გლიუკის „დონ-ჟუანი“, მოცარტის „ხუთი კონტრაცეკვა“, ბეთჰოვენის „ხუთი ვენური ცეკვა“ და შტრაუსის „საიმპერატორო ვალსი“, რომლებიც დიდი ოსტატობითა და შთაგონებით შესრულდა.

კონცერტს, რომელმაც ხალხით გადაჭედილ დარბაზში უდიდესი წარმატებით ჩაიარა, დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. შ. ჯანბერიძე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. ვ. თაქთაქიშვილი. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. შევარდნაძემ, შეეხო 'რა სათბობის და ენერგიის ხარჯვაში ეკონომიის რეჟიმის ყოველი ღონისძიებით გაძლიერებას, თქვა: „...ქრამდენად ხელსაყრელია, მაგალითად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში შემუშავებული საწვავგადამკეტი მოწყობილობის გამოყენება? მე გახლდით ამ ინსტიტუტში, სადაც მიჩვენეს იგი. მართლაც რომ, ძალზე მომზადებულია“.

დღეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის მეცნიერები, მისი დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი რაფიელ დვალი, დირექტორის მოადგილე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ მარგველაშვილი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა ა

...ალხმა, რომელსაც მამულ-
...სისხლი და გულის სითბო
...ცეულია, შრომა-გარჯით, ოფ-
...ით, საქმით ჩაფესვებია, მისი
...ველი სტკენია და სიტკბო-
...ველი უზიარებია, წარსული შე-
...ასხლოურცებია და მომავლი-
...ში, იმედიანი მზერა მიუპყრია,
...იცის ყადრი ამნაირი სამშობ-
...ლოს ზეიმისა გამარჯვებული
...მავალი ძველი და ბედნიერე-
...ასხარულის მომნიჭებელი ახ-
...ი წლების მიჯნაზე.

ყოველ წელს თავისი განსაკუ-
...ებული ნიშანსვეტები აქვს,
...ამბოლოს ისტორიის კუთვნი-
...ად ქცეული ნიშანსვეტები.
...ასეთი იყო მოსკოვის არა
...ტო რკინაბეტონის, არამედ
...ერთვე არანაკლებ უძველეული
...რწმენის კედლთან ფაშისტუ-
...ურჰხლის მიმსხვრევის 40
...ის თავია აღნიშნა აგერ სულ
...ლნან, მომავალი წლის დამაგვი-
...ვებელ დეკემბრის დღეებ-
...ი, აი აქ, ამ ბრძოლის ველზე,
...ომელი ჭრილობა არ ემუქრებო-
...ა მეომრის სიცოცხლეს, სხეულის
...ომელი ნაწილის ნატყვიარობა
...ოდ უქადდა მას სიკვდილს. მაგრამ
...ო მის სხეულში უსაფუძველი
...ა, რასაც იგი ყველაზე უფრო
...ფრთხილდებოდა. და როცა სი-
...ოცხლე საფრთხეში იყო, თუ
...ბით ვერაფრით დაიცავდა, ხე-
...ის გულს მიანც მიიჭერდა და
...ე გადარბოდა ტყვიების ჭარ-
...ეცხლში ზღუდიდან ზღუდეზე
...აფრი შეტევისას. ეს იყო გუ-
...ი — ყველაზე სათუთი სასიცო-
...ხლო ცენტრი.

...ამშობლო ჩვენი
—მოზეიმე

...თუ სამშობლოს ერთ სხეუ-
...ად წარმოვიდგენთ, მაშინ პატ-
...ერული გერმანიის მიერ თავს
...ზეფულ სამკვდრო-სასიცოცხლო
...ომში მოსკოვი იყო ამ სხეულის
...ული, რომელსაც ასე უფრთხილ-
...დებოდა და თავგანწირვით, ხში-
...ად საკუთარი სიცოცხლის ფასად
...ცავდა ყოველი საბჭოთა მეომა-
...ი.

...აი ამ საკუთარი გულივით
...ცეული სამშობლოს გულის —
...მოსკოვის — ბრწყინვალე გამარ-
...ებათა უკანონი დიდებითა და
...ფინის გვირგვინით მოსილი ქა-
...ქის კრემლის კურანტები ამა-
...ს ორმეტჯერ ჩამოკრული ზა-
...ი ამცნობს სამშობლოს ახალი
... 1982 წლის შემობრძანებას.

...და ადამიანები მაღლა ასწევენ თა-
...ებს და უპირველეს ყოვლისა
...ალოცავენ წარსული ომის ოთხი
...ბრძელი წლის მანძილზე მონა-
...ტრებულ შექს, სინათლეს, რათა
...ი კვლავაც სუფევდეს ქვეყნად,
...ალად ანათებდეს მთვარე შვი-
...ობისა, ფაშისტ-გველს რომ გა-
...ოვაშვებინეთ, და დაილოცავენ
...ა ადამიანდეს მოქცეულიყოს
...ი ბნელში, გონებას თვალეთ
...ელავ კრემლს მიაპყრობენ მზე-
...ს, სანდანაც ამ დღეებში მო-
...ამა ეპოქის დიდი ადამიანის
...ზიისსიტყვანი სიტყვები: „რა
...ენდა ვიღონოთ საამისოდ, რომ
...ერ იყოს კონფრონტაცია? და აი,
...ერი პასუხი: — საჭიროა მთავ-
...ობებმა, საბჭოთა სამშობ-
...ლოს ზეიმისა გამარჯვებული
...ალა ბოლომდე შეიცნონ, რომ
...ალინტის ყველა ხალხისათვის
...თავრია ხვალინდელი დღის
...ეშენა. და, რა თქმა უნდა,
...ოდვე უფრო საჭიროა, რომ ამ
...ეშენამ ხორცი შეისხას ახელ-
...ეწიფოთა პრაქტიკულ პოლიტი-
...ად. უნდა დავაცხროთ გამაღე-
...ული შეიარაღების შემდგომი
...ეაჩქარების საშიში ვნებები, შეგა-
...ელოთ დაძაბულობა, ჩავაქროთ
...ერიზისული სიტუაციების საში-
...ი კერები, ხელი ავიღოთ უგუ-
...ერი გამალებული შეიარაღების
...ოლიტიკაზე, დავუბრუნდეთ სახე-
...ელმწიფოთა შორის ნორმალური
...ურთიერთობის, ერთმანეთის პა-
...ტივისცემის, ერთმანეთის კანონიე-
...რი ინტერესების გაგებისა და გა-
...თვალისწინების გზას...“

საბჭოთა ადამიანები ღრმად
...ამაყოფილი არიან გერმანიის ფე-
...დერაციულ რესპუბლიკაში ლ. ი.
...ბრეჟნევის ვიზიტის შედეგებით.
...საბჭოთა ცავშირის კომუნისტუ-
...რი პარტიის და საბჭოთა სახელ-
...მწიფოს მშვიდობისმოყვარული
...ლენინური საგარეო პოლიტიკა,
...რომელიც მოძმე სოციალისტურ
...ქვეყნებთან მჭიდრო კოორდინა-
...ციით ხორციელდება, ღრმად
...სწვდება ადამიანების გონებასა
...და გულს.

...და ხალხს მტკიცედ სწამს, რომ
...გაიმარჯვებს სინათლე ბნელზე,
...მშვიდობა ომზე, სწამს ხალხის
...მასების შუაგულიდან გამოსული
...ადამიანი, რომელმაც შეიცნო
...როგორც საქარხნო, ისე გლე-
...ხური შრომა, სწამს სახელოვანი
...მეომარი, მგზნებარე პოლიტმუ-
...შაკი, ის, ვინც ნებისმიერ უბა-
...ნზე, სადაც პარტია გზავნიდა
...ძალ-ღონეს, ცოდნასა და ნიჭს
...ანმარად დაკისრებულ მოვალეობათა პატიოსნად შესრულებას,
...ხალხისათვის საჭირო მუშაობას,
...მტკიცედ სწამს ხალხს პარტია,
...ლენინ ილიას ძე ბრეჟნევი —
...მუშის შვილი, ის, ვისაც ხალხის
...ბედნიერებისა და ქვეყნის აღშენებლობისათვის დაუცხრომელმა
...ღვაწლმა უმაღლესი თანამდებობა დააკავებინა ლენინურ პარტიაში, მსოფლიოს პირველ სოციალისტურ სახელმწიფოში. სწორედ
...ამიტომ მომავალი 1981 წლის
...ღირსსახსოვარი, ისტორიის კუთ-
...ვნილებად ქცეული ნიშანსვეტთა-
...განი ისიც არის, რომ სამშობლომ,
...ხალხმა იდღესასწაულეს პარტიის
...ცენტრალური კომიტეტის გენე-
...რალური მდივნის, სსრ კავშირის
...უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
...თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის
...დაბადების 75 წლის თვი, რო-
...მლის შრომითი საქმიანობის 60
...წელი, 50 წლიანი პარტიული
...სტაჟი, 17 წლის ღვაწლი საბჭოთა
...სახელმწიფოს სათავეში, უდი-
...დესი პასუხისმგებლობა, დიდზე
...დიდი საზრუნავი პარტიის, ხალ-
...ხის, სამშობლოს, კაცობრიობისა-
...დმი ლენინური სკოლის კომუნის-
...ტის სამსახურის მიჯნები და ჰო-
...რიზონტებია.

...მომავალი — 1981 წლის ისტო-
...რიული ნიშანსვეტი იყო ასეთი
...საპატო სტუმრის წვევა საბჭოთა
...საქართველოსა და მისი კომპარ-
...ტიის მე-60 წლისთავის იუბილე-
...ზე, მისი გამოსვლები თბილისურ
...ზეიმობაზე, მისი საპროგრამო მი-
...თითებები და დებულებები, მისი
...კეთილი სურვილები.

...და საამაყოა, რომ ეს სურვი-
...ლები დღითი დღე ხორცს ისხამს,
...რომ ჩვენი მზიური საქართველო
...ახარებს სამშობლოს ახალი
...შრომითი გამარჯვებებით. ეს, უპ-
...ირველეს ყოვლისა, მეთვრთმეტე
...ხუთწლედის პირველი წლის გა-
...მარჯვებაა სახალხო მეურნეობისა
...და კულტურის ყველა უბანზე, და
...ეს არის ჩვენი საახალწლო ზეიმის
...უმთავრესი ნიშანი. დედამიწის
...თვალწარმტაცი კუთხე, გულღია
...ხალხის, კაცურკაცური კეთილ-
...შობილების, შთაგონებული შრო-
...მის, მხეიდრული ვაჟკაცობისა და
...ერთგული მეგობრობის საქართ-
...ველო მისი კომპარტიის ნაცადი
...წინამძღოლობით სულ უფრო
...და უფრო აღრმავებს და აფართო-
...ებს მოპოვებულ ავტორიტეტს. ეს
...თვალნათლივ დაგვანახვა სკკპ
...ცენტრალური კომიტეტის პოლიტ-
...ბიუროს წევრობის კანდიდატის,
...საქართველოს კომპარტიის ცენტ-
...რალური კომიტეტის პირველი
...მდივნის ედუარდ შევარდნაძის,
...რესპუბლიკის პარტიისა და მთავ-
...რობის ხელმძღვანელთა მიერ უმ-
...ნიშვნელოვანესი სამრეწველო და
...სამშენებლო ობიექტების დათვა-
...ლიერების შედეგებმა, გუშინ
...ჩვენს გაზეთში რომ გამოქვეყნდა.
...მშრომელი კაცის გულის გასახარ-
...მა შედეგებმა, დიდებულად რომ
...აგვირგვინებს მეთვრთმეტე ხუთ-
...წლედის პირველ წელს.

...ამაღლდა სამრეწველო საწა-
...რმოთა ეფექტიანობა, დიდ წარმ-
...ტებას მიაღწიეს რესპუბლიკის
...მეტალურგიულმა, საავტომობილო
...მანქანათმაშენებელმა, ქიმიურმა
...და მრავალი სხვა დარგის მრეწვე-
...ლობამ, ჩვენმა მშენებლებმა.

...საქართველოს სოფლის მეურ-
...ნეობის მუშაკებმა მიმდინარე
...წლის რთული ამინდის პირობებ-
...ში კარგი მოსავალი მოიწიეს და
...წარმატებით შეასრულეს სახელ-
...მწიფოსათვის ჩაის ფოთლის, ყურ-
...ძნის, ციტრუსის, მარცვლეულის,
...ბოსტნეულის, კარტოფილისა და
...მიწათმოქმედების სხვა პროდუქ-
...ტების მოყიდვის გეგმები და ვა-
...ლდებულებები, და დაიმსახურეს
...ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულით-
...თადი მოლოცვა. გამარჯვება სა-
...მთო მიწათმოქმედების თანამედ-
...როვეული ინტენსიფიკაციისა და
...კოლტურის ამაღლების, მეცნიე-
...რების მიღწევებისა და მოწინავე
...პრაქტიკის შედეგი, რესპუბლიკის
...პარტიული, საბჭოთა, პროფკავში-
...რული და სასოფლო-სამეურნეო
...ორგანიზაციების მიზანდასახული ორ-
...განიზატორული და პოლიტიკური
...მუშაობის შედეგია, პარტიის სი-
...ტყვისადმი რწმენითა და ნდობით
...ერთსულოვნად შეკრული, ყველა
...ერთად და ეროვნებასთან შეძმო-
...ბილებული ქართველი ხალხის
...რუდუნების ნაყოფია.

...მაგრამ რესპუბლიკა როდი
...სჯერდება მიღწეულს. უფრო
...მაღალი მიჯნების მისაღწევად და-
...სახულია საქართველოს პარტიუ-
...ლი ორგანიზაციის ამოცანები სკკპ
...ცენტრალური კომიტეტის 1981
...წლის ნოემბრის პლენუმის გადა-
...წყვეტილებებისა და პლენუმზე
...ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყ-
...ვაში ჩამოყალიბებული მითითე-
...ბების მიხედვით 1982 წელსა და
...მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლე-
...დში რესპუბლიკის ეკონომიკური
...და სოციალური განვითარების და-
...რგში.

...ქართველი კაცისათვის მუდამ
...უპირველესი იყო, და დღეს მით
...უმეტეს, შრომა, მერე — მოლ-
...ხენა. რაღაც სიმბოლური იყო ამ
...წლის შემოდგომაზე რესპუბლიკა-
...ში გამართული მუსიკოსთა სკავ-
...შირო ზეიმი — სსრ კავშირის
...კომპოზიტორთა კავშირის გამგე-
...ობისა და საქართველოს სსრ კომ-
...პოზიტორთა კავშირის გამგეობის
...გაერთიანებული პლენუმი. მუსი-
...კოდან, მღეროდა საქართველოს
...მთა და ბარი, სოფელი და ქალაქი.
...უდიდესია ჩვენი ფორმით ეროვ-
...ნული და შინაარსით სოციალისტ-
...ური ლიტერატურისა და ხელოვ-
...ნების წარმატებები განსაკუთრებ-
...ით წელს, დიდი სიხარული მოგ-
...ვანიჭეს ქართველმა სპორტსმე-
...ნებმაც.

...ახალ წელს ახალი სიხარულიც
...მოაქვს და ახალი ვალდებულე-
...ბებიც. თითოეული ჩვენგანის უპ-
...ირველესი მოვალეობაა ვიზ-
...ეაწოთ სამშობლოსათვის, მისი
...ღონისა და ძლიერებისათვის,
...რაც იგივე ჩვენი ღონე და ძლი-
...ერებაა. სამშობლო ყველას გვი-
...ყვარს. ეს სიყვარული კი უწინა-
...რესად მისთვის შრომა-გარჯით
...უნდა გამოიხატებოდეს. სამშობ-
...ლოს სიყვარულის ცნებას ბრძნუ-
...ლად გვიხატავს ამხანაგი ლ. ი.
...ბრეჟნევი თავის დიდებულ წიგნ-
...ში „მოგონებები“, რომლის გამო-
...ქვეყნება წლევანდელი — ამ
...მომავალი წლის ერთ-ერთი ის-
...ტორიული ნიშანსვეტია. სამშობ-
...ლოს გრძნობა მარტო ჩვენი მიწ-
...წყლის სილამაზის მზერით როდი
...საზრდოობს. საბჭოთა ადამიანე-
...ბი —მზრუნველი მოამაგენი და-
...უცხრომლად ამრავლებენ სოცია-
...ლისტური სამშობლოს ძლიერე-
...ბას. ეს დადასტურდა ჩვენი რეს-
...პუბლიკის მაგალითითაც მეთერთ-
...მეტე ხუთწლედის პირველი წლის
...გეგმების წარმატებით შესრულე-
...ბაში. ეჭვი არ არის, დამდეგ
...წელსაც ვადიდებთ, ვამრავლებთ
...სოციალისტური სამშობლოს ძლი-
...ერებას.

...ამ რწმენით, ამ მიზნით ვეგე-
...ბებით ახალ, 1982 წელს.

...დიდება მის მობრძანებას!

ვლ. თორდუა.

ნ. კილასონია



ი. თარბა



ა. ბალანჩივაძე



გ. წერეთელი

გ. ჭუბაბრია



გ. ლებანიძე



გ. ქავთარაძე

თ. ფანიაშვილი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის პრემიების—„ხუთწლედის მატიანე“—მინიჭების შესახებ

მოგილოცავთ ხალხისა და ქვეყნის სასიკეთოდ გარჯის ადიარებას, ჩვენო ქვირფასო მეგობრებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის პრემიების — „ხუთწლედის მატიანე“ — მინიჭების შესახებ.

ლიტერატურის დარგში

კილასონიას ნაზი გიორგის ასულს — უკანასკნელი წლების ლექსებისათვის.

თარბას ივანე კონსტანტინეს ძეს — უკანასკნელი წლების პოეტური ნაწარმოებებისათვის.

მუსიკის დარგში

ბალანჩივაძეს ანდრია მელიტონის ძეს — უკანასკნელი წლების მუსიკალური ნაწარმოებებისათვის.

სახვითი ხელოვნების დარგში

წერეთელს გიორგი გალაკტიონის ძეს — 1980-1981 წლებში შექმნილი გრაფიკული სერიებისათვის „მშვიდობა“, „ცისარტყელა“, „შავი ზღვის პირას“, „საქართველო, მზიანი მხარე“.

კინოხელოვნების დარგში

ჭუბაბრიას გია დავითის ძეს — (დამდგმელ რეჟისორს),

ლებანიძეს გიორგი ივანეს ძეს (სცენარის ავტორს) — სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმისათვის „საქართველო, წინ და მაღლა“.

თეატრალური ხელოვნების დარგში

ქავთარაძეს გიორგი გიორგის ძეს — ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში სპექტაკლ „რამდენიმე ეპიზოდი კომუნისტის ცხოვრებიდან“ (ნ. ოსტროვსკის რომანის „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ მიხედვით) დადგმისათვის.

არქიტექტურის დარგში

ფანიაშვილს თინათინ ვლადიმერის ასულს — ტურისტულ სასტუმრო „ვაკის“ არქიტექტურული გადაწყვეტისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შევარდნაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ზ. პატარიძე.

ხუთწლედის მატიანე—1981

ცნობილი პოეტი და პროზაიკოსი ივანე თარბა, აი, ორმოცი წელია აფხაზური ლიტერატურის წინსვლისა და წარმატების საქმეს ემსახურება. იგი ეროვნული პოეზიის ერთ-ერთი მედროშეა და ღირსეულად აგრძელებს აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის დიმიტრი გულიას სახელოვან ტრადიციებს.

ი. თარბას შთაგონების წყარო იყო და არის სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, ხალხთა ძმობა და მეგობრობა, საბჭოთა ადამიანების გმირული შემართება. ივანე თარბა მრავალი წლის განმავლობაში სათავეში ედგა აფხაზეთის მწერალთა კავშირის ორგანიზაციას და თავისი მოღვაწეობით ყველაფერს აკეთებდა ქართველი და აფხაზი ხალხების ძმობის განსამტკიცებლად.

ი. თარბას ლექსებს ყოველთვის სიყვარულით თარგმნიდნენ მისი მეგობარი ქართველი პოეტები. მისი კრებულები არაერთხელ გამოსულა ქართულად. ი. თარბას სახელი კარგად არის ცნობილი მრავალეროვნულ საბჭოთა ლიტერატურაში, მისი წიგნები თარგმნილია საბჭოთა ხალხების მრავალ ენაზე. თავის მხრივ ი. თარბაც გულწრფელი სიყვარულით უპასუხებს მოძმე ხალხთა პოეტების ყურადღებას. მან არაერთი ქართველი, რუსი, უკრაინელი და სხვა ხალხების პოეტი გახადა ხელმისაწვდომი აფხაზი მკითხველისათვის. ბოლო წლებში შექმნილმა მისმა პროზამაც ფართო გამოხმაურება პოვა.

ჩვენი რესპუბლიკის მნიშვნელოვანმა წარმატებებმა სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ფართო აღიარება პოვა როგორც საბჭოთა ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ლენინური და სახელმწიფო, აგრეთვე ჩვენი ეროვნული, რუსთაველის სახელობის, სახელმწიფო პრემიებით აღინიშნა ქართული მწერლობისა და მუსიკის, მხატვრობისა და კინემატოგრაფის, თეატრისა და არქიტექტურის თვალსაჩინო ნაწარმოებები.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების უკანასკნელი წლების მიღწევები შედგება რესპუბლიკაში შექმნილი ცხოვრებისადმი ფაქიზ ატმოსფეროსი და იმ დიდი ყურადღებისა, რომლითაც გარემოსილია ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენცია. საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის ტრიბუნიდან ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, საფუძვლიანად გააანალიზა რა ქართული კულტურის დღევანდელი აღმავლობა, სრულიად სამართლიანად აღინიშნა, რომ მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნის ყოველმხრივ მასტიმულირებელი ატმოსფეროს ჩამოყალიბება საქართველოს კომპარტიის უკანასკნელი წლების ერთ-ერთი თვალსაჩინო მონაპოვარია.

შემოქმედი ინტელიგენციისათვის ზრუნვის მკაფიო გამოხატულებად იქცა მრავალი წამახალისებელი ღონისძიება და მათ შორის ბოლო წლებში დაწესებული პრემიები, რომლებსაც გარკვეული როლი აკისრიათ შემოქმედთა დარაზმვაში დღევანდელობის აქტუალური პრობლემებისა და თემების ხორცშესასხმელად. სწორედ ამ მიზნით ორი წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით დაარსდა ახალი პრემია — „ხუთწლედის მატიანე“. ეს პრემია განკუთვნილია ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის იმ თვალსაჩინო ნამუშევრებისათვის, რომლებიც ასახავენ ჩვენი თანამედროვე ცხოვრების შრომითს პათეტიკას, მოგვითხრობენ ადამიანებზე, რომლებიც ხუთწლედის ხარაჩოებზე სჭედენ ჩვენს გამარჯვებებს.

მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი, 1981 წელი, საბჭოთა საქართველომ ახალი დიდი გამარჯვებებით დაადგიერგვინა.

საბჭოთა ადამიანების მდიდარი სულიერი სამყარო, მათი თავდადებული შრომა, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის იდეებისადმი ერთგულება დაედო საფუძვლად იმ ნაწარმოებებს, რომლებსაც მომდინარე წელს მიენიჭათ პრემია — „ხუთწლედის მატიანე“.

ლიტერატურის დარგში პრემია მიენიჭათ პოეტებს ნაზი კილასონიას და ივანე თარბას, უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული ლექსებისათვის.

ქართველი პოეტი ქალის ნაზი კილასონიას შემოქმედება მკითხველთა განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს. იგი მრავალი პოეტური კრებულის ავტორია. მისი ლექსები თარგმნილია რუსულ და საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხთა ენებზე. თავად პოეტიც ნაყოფიერად მოღვაწეობს მხატვრული თარგმანის დარგში. მან ქართულ ენაზე ააყარა ანა ახმატოვას, ევგენი დოლმატოვსკის, მიხეილ ლუკონინის, ნელი თარბას და სხვათა ლექსები.

პოეტის შემოქმედებას ყოველთვის ახასიათებს ღრმა ლირიზმი და სინატიფე. უკანასკნელ წლებში ნაზი კილასონიას პოეზია თემატურად კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა. ჩვენი ქვეყნის რევოლუციური წარსული, მისი დიდებული აწმყო და ნათელი მომავალი, საბჭოთა პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი — ეს ის თემები, რომლებიც ნაზი კილასონიას ბოლოდროინდელ შემოქმედებში დამკვიდრდა.

მოქალაქეობრივი პათოსის წინა პლანზე წამოწევამ ახალი ძალით წარმოაჩინა ნაზი კილასონიას პოეტური ნიჭი. წარსულის გადმონაშთებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულება, კომუნისტური იდეალების ერთგულება განსაზღვრავს ნაზი კილასონიას, როგორც პოეტის მოქალაქეობრივ პოზიციას.

მუსიკის დარგში პრემიის — „ხუთწლედის მატიანე“ — ლაურეატი გახდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო და რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი პროფესორი ანდრია ბალანჩივაძე. ა. ბალანჩივაძე ქართული საბჭოთა მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი და გამოჩენილი წარმომადგენელია. მის ნაწარმოებებში რეალისტურადაა აღბეჭდილი საბჭოთა სინამდვილე, ჩვენი დღეების ჰეროიკა და შრომითი პათოსი. კომპოზიტორის საუკეთესო ქმნილებები — ბალეტები, სიმფონიები, საფორტეპიანო კონცერტები, სუროგიები და პიესები აღიარებულია საბჭოთა მუსიკალური კლასიკის ნიმუშებად. ა. ბალანჩივაძე ეროვნული სკამპოზიტორო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელია. იგი დღესაც ნაყოფიერ შემოქმედებითს, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა.

ა. ბალანჩივაძის უშრეტი შემოქმედებითი პოტენციის თვალსაჩინო გამოვლინებაა მისი ერთ-ერთი ბოლო ქმნილება — მესამე სიმფონია, რომელშიც ნათლად გამოიკვეთა მუსიკის დიდოსტატის მაძიებელი ბუნება, თანამედროვეობის აღქმა და პათოსი.

მიმდინარე წელს ა. ბალანჩივაძეს 75 წელი შეუსრულდა. აღფრთოვანებას იწვევს უბერებელი კომპოზიტორის შემოქმედებითი ენერგია. მით უმეტეს სასიამოვნო ფაქტია, რომ საშუალება მოგვეცა კიდევ ერთხელ მადლიერების გრძნობით აღგვენიშნა მისი დიდი ღვაწლი ქართული მუსიკალური კულტურის წინაშე.

სახვითი ხელოვნების დარგში პრემია დაიმსახურა მხატვრმა გიორგი წერეთელმა გრაფიკული სერიებისათვის: „მშვიდობა“, „ცისარტყელა“, „შავ ზღვასთან“, „საქართველო, მზიური მხარე“.

გ. წერეთლის გრაფიკული სერიები თავისებური პოეტურობითაა განმსჭვალული. ისინი მოწმობენ, რომ მათი ავტორი სამყაროსადმი საკუთარი დამოკიდებულების მქონე შემოქმედია. მისი სერიების ძირითადი თემაა ჩვენი თანამედროვეობა. გ. წერეთლის გრაფიკისათვის უპირველეს ყოვლისა ნიშანდობლივია ეუწყვეტი კავშირი შშობლიურ მიწასთან, ადამიანისა და ბუნების ჰარმონიული ერთიანობა. გ. წერეთლის ნამუშევრები დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებენ, ამავე დროს ვვაფიქრებენ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების პოეტიკაზე.

კინოსა და ტელევიზიის დარგში პრემია „ხუთწლედის მატიანე“ მიენიჭათ სცენარისტ გიორგი ლებანიძეს და რეჟისორ გია ჭუბაბრიას სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის შექმნისათვის — „საქართველოვ, წინ და მაღლა!“ ფილმი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მეცამეტე წლისთავს მიეძღვნა.

სცენარის ავტორმა, ცნობილმა ჟურნალისტმა და პუბლიცისტმა გ. ლებანიძემ უაღრესად მდიდარი ფაქტობრივი მასალა დრამატურგიულად საინტერესოდ განაზოგადა. რეჟისორმა გ. ჭუბაბრიამ, რომელსაც გარკვეული წვლილი მიუძღვის ქართული დოკუმენტური კინოს განვითარებაში, დიდი პასუხისმგებლობა და მხატვრული ალღო გამოიჩინა ამ მნიშვნელოვან თემაზე მუშაობისას. ფილმის ავტორებმა შეძლეს ორგანულად შეეთვალთებინათ თანამედროვეობის ამსახველი დოკუმენტური კადრები და წარსულის ქრონიკალური მასალა. ყოიოლივე ამან განაპირობა, რომ ფილმი დამაჯერებლად მოგვითხრობს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რესპუბლიკის მიერ სამოცი წლის მანძილზე მოპოვებულ მიღწევებზე.

ფილმის პრემიერა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დღეებში შედგა და დელეგატთა მოწონება დაიმსახურა. ფილმი წარმატებით გადაიოდა რესპუბლიკის ეკრანებზეც.

თეატრალური ხელოვნების დარგში პრემია მიენიჭა საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატს რეჟისორ გიორგი ქავთარაძეს ქუთაისის სახელმწიფო დრამატულ თეატრში დადგმული სპექტაკლისათვის „რამდენიმე ეპიზოდი კომუნისტის ცხოვრებიდან“. სპექტაკლი წარმოადგენს ნ. ოსტროვსკის რომანის — „როგორ იწრთობოდა ფოლადი “— ინსცენირებას. რეჟისორმა და ინსცენირების ავტორმა (გ. კვარაცხელიასთან ერთად) ორიგინალური გადაწყვეტა მოუტანა სპექტაკლს. მკაცრი და ნათელი კომპოზიცია, რომელშიც კინოკადრებისათვის დამახასიათებელი ტერხებია გამოყენებული, მკაფიოდ წარმოაჩენს იმ დაუვიწყარი წლების ჰეროიკას, აცოცხლებს რევოლუციურ აღმფრენასა და რომანტიკას.

ქუთაისის თეატრის მოსკოვში გასტროლების დროს „პრავდა“, „სოვეტსკაია კულტურა“, „ნედელია“ ერთხმად აღნიშნავდნენ სპექტაკლის ორიგინალურ ფორმას და, იდეურ-ემოციური ზეგავლენის ძალას. სპექტაკლი საგანგებოდ აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრის ამხ. პ. ნ. დემიჩევის ბრძანებით.

არქიტექტურის დარგში პრემია მიენიჭა საქართველოს „დამსახურებულ არქიტექტორს თინათინ ფანიაშვილს ტურისტული სასტუმროს „ვაკეს“ პროექტის შექმნისა და განხორციელებისათვის. ქართველი არქიტექტორი ქალის პროექტმა მაღალი შეფასება და საერაოლარი ჯილდოები მიიღო პარიზში არქიტექტორ ქალთა ნამუშევრების მსოფლიო გამოფენაზე და არქიტექტორთა მსოფლიო კონგრესზე რუმინეთში.

ტურისტულმა სასტუმრომ 1980 წელს დაამშვენა ჩვენი დედაქალაქი. შენობა აგებულია რთულ რელიეფურ პირობებში. ამ ნაგებობის კომპოზიციური გადაწყვეტის ერთ-ერთ ძირითად ღირსებად უნდა ჩაითვალოს მისი ორგანული შერწყმა და შეზამება ბუნებრივ გარემოსთან.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1980 წელს სკკპ XXVI ყრილობისადმი მიძღვნილ საკავშირო გამოფენაზე მოსკოვში თ. ფანიაშვილის პროექტმა დაიმსახურა სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის დიპლომი „ხუთწლედის საუკეთესო შემოქმედებითი ნამუშევარი“.

გულითადად ვულოცავთ ახალ ლაურეატებს მაღალ ჯილდოს, ვუსურვებთ მათ შემდგომ შემოქმედებითს გამარჯვებებს ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავებისათვის.

გ. აბაშიძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე.
(საქინფორმი).

...ბორჯომის რაიონის სოფელ ...ორკანეთში საზეიმოდ გაიხსნა ...ალი ხიდი მტკვარზე, რომელ-...ც უმოკლესი გზით დაკავშირა ...ამი სოფლის მცხოვრებლები რა-...ონულ ცენტრთან. ამ დღესას-...აულზე კოლმეურნეთა საპატიო ...ტუმარი იყო მწერალი მიხეილ ...ლონგვიკეი.

შემთხვევამ, რომელმაც თბი-...ლისელი მიხეილ ლონგვიკეი და ...ორკანეთელი კოლმეურნე გიო-...რგი დევაძე გააცნო ერთმანეთს, ...იგი როლი შეასრულა ორივეს ...ცხოვრებაში.

...ოთხმოცი წლის გიორგი მრავ-...ლრიცხოვანი ოჯახის უფროსია. ...გიორგიმ ოთხი ვაჟი, ათი შვილი-...ელი გაზარდა და საკაა მისი ...ადიშვილიც მოეკლინება ქვეყა-...ს. მაგრამ მარტო სამრავლით ...ოდა ეს ოჯახი ცნობილი. მრა-...ელი წლის წინ მტკვრის ნაპირ-...ს აგებულმა დევაძის სახლმა და-...ბამი მისცა ამ ადგილებში კო-...ტანეთელთა გადმოსახლებას. აქ ...ეყენილი რკინიგზა დიდიხანია ...ზიდავდა გლეხებს, მაგრამ პირ-...ველი, ვინც აქ სახლი აიშენა, გი-...ორგი იყო.

...თანდათანობით დევაძეების ოჯ-...ახს მეზობლებიც მოუმრავლდა. ...ერთო ძალებით ააგეს მტკვარზე ...ორანი. მოგვიანებით, უკვე ომ-...ის შემდეგ, როცა კოლმეურნეობა ...გაზარდა, სოფელში დაფუძნდა ...ასზე მეტი ოჯახი, ჭიათურელმა ...ალოროელებმა უსასყიდლოდ გა-...ედეს ბეწვის ხიდი მტკვარზე.

სოფლის უხუცესის სოკარ ...ბედს არ შეიძლებოდა არ მიექცია ...მწერლის ყურადღება. და შემ-...ქმედებითი ინტერესი ხანგრძლივ ...მეგობრობად იქცა. შეიძლება პი-...რიქთაც იყო. მთავარია, რომ ...საქართველოს მწერალთა კავშირის ...შემოქმედებითი მივლინებით მიხე-...ილ ლონგვიკეი ერთი წლით დასახლ-...და კორტანეთში. იგი იქ სამუშაოდ ...და საცხოვრებლად ჩავიდა. და ...თუ ცხოვრობ, კიდეც უნდა იშ-...რომო მინდორში, თიბო ბალახი, ...ესაუბრო გლეხებს. მივლინების ...შემდეგ შექმნილ ერთ-ერთ მოთ-...ხრობასაც ასევე ეწოდება „უამი ...თიბვისა“. იგი ორჯერ გამოიცა, ...კრიტიკოსების მაღალი შეფასება ...და კონსტანტინე სიმონოვის ქება ...დაიმსახურა. მაგრამ არა ნაკლებ ...მნიშვნელოვანი იყო ისიც, როგ-...

მსოფლიო-81

განვლილ 1981 წელს რომ რეტროსპექტულად გავხედოთ, მთავარი რაც მკაფიოდ არის გამოხატული, ის გახლავთ, რომ სულ უფრო რელიეფურად აჩნევს თავის კეთილ სასურველ კვლის პლანეტის სუნთქვას სოციალიზმის მაჯისცემა.

რაც უნდა მრავალფეროვანი მოვლენებით იყოს აღსავსე ისტორიის ნებისმიერი მონაკვეთი, მაინც შეიძლება გამოიყოს ერთი რომელიმე უმთავრესი, განმსაზღვრელი მომენტი თუ ფაქტორი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს მთელ პროცესს. ამ მხრივ გამონაკლისი არც 1981 წელი ყოფილა.

ჩვენი პარტიის XXVI ყრილობა სწორედ ასეთი უდიდესი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო, რომელმაც უბრეცედენტო საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია. გარდა იმისა, რომ მან კიდევ ერთხელ ცხადყო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის უდიდესი რეალური ძალა, სიმბოლური იყო ის ფაქტიც, რომ მის მუშაობაში მონაწილეობა მიეღო კომუნისტურ, მუშათა, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა და სხვა პარტიათა 123-მა დელეგაციამ მსოფლიოს 109 ქვეყნიდან. ამდენი უცხოელი მეგობარი ჩვენს პარტიას არასოდეს მიუღია.

საერთაშორისო ცხოვრების სფეროში არასახარბიელო მემკვიდრეობა გვარგუნა 1980-მა წელმა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამის თაობაზე ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევი ამბობდა: „საერთაშორისო თვალსაზრისით საანგარიშო პერიოდი რთული და მძაფრი იყო. იგი აღინიშნა, უწინარეს ყოვლისა, მსოფლიო პოლიტიკაში ორი მიმართულების ინტენსიური ბრძოლით. ერთი მხრივ, — ეს არის გამალებული შეიარაღების ალაგმვის, მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების განმტკიცების, ხალხების სუვერენული უფლებებისა და თავისუფლების დაცვის კურსი. მეორე მხრივ, დაძაბულობის შენელებისათვის ძირის გამოთხრის, გამალებული შეიარაღების გაძლიერების კურსი, მუქარისა და სხვის საქმეებში ჩარევის, განმათავისუფლებელი ბრძოლის ჩახშობის პოლიტიკა“.

ბუნებრივია, რომ ასეთი რთული ვითარება ახალ ძნელ, მაგრამ რეალურ ამოცანებს სახავდა სოციალიზმის ბანაკის, მსოფლიოს მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების წინაშე, რეალურს იმიტომ, რომ დღეს სოციალისტური ბანაკი თანამედროვეობის ყველაზე დინამიკურ ძალას წარმოადგენს, რომელსაც შეუძლია გრანდიოზული ამოცანების დასახვაც და განხორციელებაც, ოთხმოციანი წლების მიჯნაზე ხომ სწორედ სოციალისტური თანამგზამრობის ქვეყნებზე მოდის მსოფლიოს საბრძნველო წარმოების ერთი მესამედი, რაც განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების სამრეწველო პროდუქციის მოცულობი, სამ მეოთხედს უდრის.

თითქმის შეუძლებელია ერთ საგაზეთო წერილში გასულ წელს სოციალიზმის ბანაკის ყველა სამშვიდობო ინიციატივათა უბრალო ჩამოთვლაც კი, რომ არაფერი ვთქვათ, მათს დახასიათებასა და საკაცობრიო მნიშვნელობაზე. მხოლოდ იმას კი აღვნიშნავთ, რომ ყოველი ასეთი ღონისძიება, აქცია, ინიციატივა თუ წინადადებანი ერთ საერთო, კეთილშობილურ ზოგადსაკაცობრიო მიზანს ემსახურებოდა. ასეთი კეთილი ნებითა და პასუხისმგებლობის გრძნობის სრული შეგნებით იყო გამსჭვალული საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გასულ ზაფხულს მიღებული მიმართვა მსოფლიოს პარლამენტებისა და ხალხებისადმი. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტში სრულიად შეუღამაზებლად იყო ასახული მკაცრი. სინამდვილე და ის საფრთხე, რომელსაც კაცობრიობას ბირთვული კატასტროფის სახით უმზადებს იმპერიალიზმი, საერთაშორისო წრეებში მიმართვა აღიქვეს არა როგორც მომავლისადმი უიმედობით ნაკარნახევი დოკუმენტი, არამედ როგორც მშვიდობის შენარჩუნებისათვის აქტიური მებრძოლის სამოქმედო პროგრამა. სწორედ ამით აიხსნება მისი ფართო მხარდაჭერა მსოფლიოს ყველა ქვეყნის პროგრესული წრეების მიერ.

საბჭოთა ინიციატივების წელი

კაცობრიობის ისტორია შემონახავს ხოლმე მოვლენებს, რომლებსაც ათეული წლების შემდეგაც უბრუნდება თაობათა მეხსიერება. უბრუნდება, რათა კიდევ ერთხელ პატივი სცეს იმ გმირთა სამარადისო ხსოვნას, ვინც თავისი სიცოცხლე შესწირა კაცობრიობის გადარჩენას. 40 წელი შესრულდა ჩვენს ქვეყანაზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის დღიდან და თუ ეს თარიღი ჩვენთან ერთად მთელმა მშვიდობისმოყვარე კაცობრიობამ აღნიშნა, ეს ხალხთა ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელ ომში გამარჯვება საბჭოთა ხალხის გადამწყვეტი დამსახურების საერთაშორისო აღიარება იყო. მეორე მსოფლიო ომის ტრაგედია, ომისა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში სამართლიანად შევიდა დიდი სამამულო ომის სახელით, 20 მილიონი საბჭოთა ადამიანის სამარადისო ხსოვნა, მშვიდობის დაცვისათვის უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო მოღვაწეებს. ამიტომ არის, რომ ჩვენი პარტიის, მთავრობის, პირადად ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის ყოველდღიურ საქმიანობას წითელ ზოლად გასდევს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ზრუნვა და ბრძოლა. „პრავდის“, „შპიგელის“, „ენ-ბი-სის“ ტელეკომპანიის კითხვებზე გაცემული პასუხებიც კი საკმარისი იქნებოდა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების დახასიათებისათვის, რომელთა საფუძველთა საფუძველია ქვეყნად მტკიცე მშვიდობისათვის დაუცხრომელი ბრძოლა.

როდესაც საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მიღწევათა ფონზე 1981 წლის საერთაშორისო ხასიათის მოვლენათა შეჯამება-გაანალიზებას ვცდილობთ, კანონიერი სიამაყის გრძნობით შეგვიძლია დავასახელოთ ისეთი მაღალავტორიტეტული საერთაშორისო ფორუმი, როგორიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 36-ე სესიაა. მან მთელი რიგი ისეთი წინადადებანი მიიღო, რომლებიც ჩვენი თანამედროვეობის საარსებო საკითხებს შეეხება. ყველა ამ წინადადებათა ინიციატორი და ავტორი საბჭოთა კავშირი იყო. ყოველად შეუძლებელია თუნდაც იმის შეუფასებლობა, რომ საქვეყნოდ აღიარეს პრინციპი — არ დაუშვან, რომ რომელიმე ქვეყანამ პირველმა გამოიყენოს ბირთვული იარაღი, ან თუ ვნებავთ კოსმოსის დაცვის თაობაზე მიღებული გადწყვეტილება, რომელსაც ასევე საბჭოთა ინიციატივა დაედო საფუძვლად.

ეხებოდა რა საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობას, XXVI ყრილობის ტრიბუნიდან ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ამბობდა: „გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აქ გადამწყვეტი რგოლია უმაღლესი დონის შეხვედრები. ეს სწორი იყო გუშინ და ეს სწორი არის დღესაც“. გარკვეული გაგებით იგივე შეიძლება ითქვას სხვა ქვეყნებთან ურთიერთობასთან დაკავშირებითაც. ამ ფაქტორმაც განაპირობა ის უდიდესი საერთაშორისო გამოხმაურება, რომელიც

დაკარგული ხელნაწერის კვალი დაჩნდა

აკაკი ფანიძე

„ლიტერატურული გაზეთის“ 1962 წლის ერთ ნომერში (№ 19, 4 მაისს), მე დავბეჭდე წერილი ვახტანგისეული „ვეფხის ტყაოსნის“ შესახებ, რომელიც შემდეგ გადავბეჭდე ჩემი „ვეფხის ტყაოსნის საკითხების“ წიგნში 1966 წელს. იქ დავიმოწმე პლატონ იოსელიანი, რომელიც 1870 წლის გაზეთ „კავკაზში“ (№ 13) ახსენებდა სამ ძველ ხელნაწერს:

ერთს, ყველაზე ძველს, ეტრატზე ნაწერსა და რამდენადმე ნაკლულს, რომელიც ჰკუთვნებია იმერელ თავადს, პოლოვნიკ გრიგოლ წერეთელს.

მეორეს, ერთ დროს ალექსანდრე მეფის კუთვნილს (1443 წ.), გასანთლულ ქაღალდზე, რომელიც მას უნახავს აზნაურ ნიკოლოზ ელიოზიშვილისას, და —

მესამეს, ვახტანგ შაჰნაოზის კუთვნილს (1678 წ.), შემდეგ კი თეკლე ბატონიშვილისას, გასანთლულ ქაღალდზე, რომელიც პლატონ იოსელიანისთვის გადაუცია თავადის მ. ვორონცოვისთვის მისართმევად. ეს არის „ზაზასეული ხელნაწერი, გადაწერილი იოსებ ტფილელის მიერ, იგი 1935 წელს საქართველოს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ გადმოსცა.

რაკი სამ დასახელებულ ხელნაწერთაგან ერთი აღმოჩნდა, მე ვფერდი: „არ შეიძლება არ ვენდოთ ფრიად განათლებულსა და ცნობილ მეცნიერს, რომელსაც თანამედროვენი ფილოსოფოსს ეძახდნენ, როცა ის ორ სხვა ხელნაწერს ასახელებს და აგვიწერს კიდეც. ეს ხელნაწერები მის დროს ყოფილა, მაგრამ ამჟამად არ ჩანს. საკითხავია: რა მოუვიდა მათ? თუ დაიღუპა, როდის და რა პირობებში? იმედი მაქვს, რომ ეს ორი ხელნაწერი არ არის დაღუპული, სადღაც არის და მიკვლევა უნდა. შეიძლება პატრონებმა გაყიდეს და ხელნაწერებმა სადმე ევროპაში ან ამერიკაში ამოყვეს თავი. საჭიროა მათი მოძებნა, მათი ტექსტის შესწავლა და გამოქვეყნება. ეს აუცილებელია უკვდავი პოემის ტექსტის დასადგენად, რომელიც ესოდენ შერყვნილია უვიცი გადამწერებისაგან. ამას მოითხოვს ქართული კულტურის ინტერესები“.

გავიდა ოციოდე წელიწადი. სტრიქონების დაწერის [illegible] იქ გამოთქმული [illegible] რავ გამართლდა: [illegible] კვალი გრიგოლ წერეთლისა „ვეფხის ტყაოსნის“ — [illegible] ოვნო ამბავი. [illegible] ში მივლენილმა ქართული ლიტერატურის საკითხების ცნობიერმა მკვლევარმა გურამ შარაძემ, [illegible] მელმაც რამდენიმე მეტად საინტერესო წერილი დაბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში“ თავისი მივლინების შესახებ და ერთ-ერთ მათგანში („ვეფხისტყაოსნის“ კვალის მიზანგებად — 6 დეკემბერი, 1981 წ.) მოთხრობილია, რომ პლატონ იოსელიანის ნახელავები გრიგოლ წერეთლისეული „ვეფხის ტყაოსანი“, ტყავზე ნაწერი XIV საუკუნისა (მაშასადამე, ყველაზე ძველი), ამ ოცდახუთიოდე წლის წინათ ლონდონში გაყიდულა საკმარო ვაჭრობით 1250 გირვანქა სტერლინგად. სამწუხაროდ, [illegible] რამ შარაძეს სამივლინებო დრო არ ეყო, რომ მოესწრო გაეგო, თუ ვინ შეიძინა ეს უძველესი „ვეფხის ტყაოსანი“. მაგრამ [illegible] დია, რომ იგი მისთვის ჩვეულ ენერგიით ბოლომდე მიჰყვება ამ საქმეს, მეცნიერებათა აკადემიის დაზმარებით მოახერხებს მყიდველს ვინაობის დადგენას და ხელნაწერის ფოტოსურათების მოპოვებას.

ვუსურვოთ მას ამ საქმის კეთილად დაგვირგვინება.

ᲧᲐᲒᲐᲮᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲐᲚᲞᲘᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ წელი ქართველ მთამსვლელთა კიდევ ერთი წარმატებით აღინიშნა. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის **გივი ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** ხელმძღვანელობით ექსპედიციამ ცენტრალური კავკასიონის მთებში დალაშქრა კიუკურტლუს პიკი (4623 მ). მწვერვალის დასავლეთის შვეული კედელი, რომელზეც მარშრუტი გადიოდა, დღემდე მიუდგომლად ითვლებოდა. **ტექნიკურ კლასში სსრ კავშირის ჩემპიონატში** ამ ასვლისათვის **საქართველოს ექსპედიციას ვერცხლის მედლები მიენიჭა.** გამარჯვებულებს — ლენინგრადელ ალპინისტებს ისინი მხოლოდ შვიდი მეასედი ქულით ჩამორჩნენ.

ასვლის დროს დამატებითი სიძნელეებები იქმნებოდა უამინდობის გამო: სამ დღეს თოვდა. ასვლა ზუსტად 240 საათს — ცხრა დღე-ღამეს გაგრძელდა.

მოიერიშე ჯგუფს შემადგენლობაში შედიოდნენ **ტარიელ ლუკაშვილი** (გუნდის კაპიტანი), **მურად ჭოჭინაძე, ირაკლი გელდიაშვილი, დავით თარხნიშვილი, ჭემალ ქელეხსაშვილი, მწვრთნელები — დიმიტრი შარაშენიძე** და **რომან გიუტაშვილი.**

ᲤᲔᲮᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝᲡ!

1981 ᲬᲚᲘᲡ ნაყოფიერი გამოდგა ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებისათვისაც, რომლებმაც მთელ რიგ საერთაშორისო და საკავშირო ასპარეზობებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

აღვნიშნავთ ზოგიერთ მათგანს:

მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლებით დაიმშვენეს მკერდი **მაია ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲜᲘᲫᲔ** (ჭადრაკი), **ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲚᲝᲡᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ** (მშვილდოსნობა), **ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲚᲐᲒᲘᲫᲔ, ᲛᲘᲠᲘᲐᲜ ᲡᲐᲚᲐᲫᲔ** და **ᲗᲐᲛᲐᲠ ᲮᲣᲗᲝᲣᲠᲛᲐ** (სამივე — ჭიდაობა), **ᲗᲐᲛᲐᲠᲐ ᲘᲜᲒᲝᲕᲐᲜᲘᲫᲔ** (სახტენდო სროლა).

ევროპის ჩემპიონები გახდნენ: **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲝᲪᲕᲐᲫᲔ** (ჭიდაობა), **ᲢᲐᲠᲘᲔᲚ ᲫᲚᲔᲜᲢᲘ** და **ᲗᲐᲛᲐᲖ ᲘᲜᲒᲝᲕᲐᲜᲘ** (ორივე — სროლა), **ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲓᲔᲠᲘᲣᲖᲘᲜᲘ** (კალათბურთი).

ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასი მოიპოვა **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“** ფეხბურთელთა გუნდმა.

წარმატებით იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ნებისმიერი რანგის სხვა მნიშვნელოვან ტურნირებზეც. აქ განსაკუთრებით უნდა გამოყოთ სსრ კავშირის ჩემპიონატში ჩვენი სახელოვანი მოჭიდაკეების ბრწყინვალე გამარჯვება. ოქროს მედლები მოიხვეჭეს **ᲜᲝᲜᲐ ᲒᲐᲬᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ** და **ᲜᲐᲜᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲗᲐᲛ,** ხოლო ამავე ასპარეზობაში ბრინჯაოს მედალი ერგო **ᲗᲐᲛᲐᲠ ᲮᲣᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ...**

ფეხბედნიერი და უხვმოსავლიანი ყოფილიყოს თქვენთვის ახალი, 1982 წელი, ჩვენო სპორტსმენებო.

ᲐᲡᲔ ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ...

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ კორესპონდენტმა სთხოვა თბილისის ტურის შედეგების, კერძოდ თბილისის „დინამოს“ გამოსვლის კომენტარი, რი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს ᲨᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, რომელიც, როგორც არბიტრი, ეესახურებოდა აღნიშნულ ტურს:

— **ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ** ცნობილია, ეს სპორტის სასახლის თაღებქვეშ გამართულ ერთკვირიან ბრძოლაში ყველაზე მეტი ქულა მოგროვეს ცსკა-მ, კიევის „სტროიტელმა“ და თბილისის „დინამომ“, რომლებმაც ექვსიდან მხოლოდ თითო თამაში წააგეს. ჩვენმა კალათბურთელებმა სძლიეს ისეთ კოლექტივებს, როგორიცაა მოსკოვის „დინამო“, ლენინგრადის „სპარტაკი“, რიგის ვეფ-ი და სხვ. მაგრამ წინა ტურებში წარუმატებლობის გამო (გავიხსენოთ, რომ გუნდმა პირველსავე ტურში, რომელიც მინსკში ჩატარდა, ყველა მატჩი წააგო) იგი ოქროს მედლების მაძიებელთა შორის ვერ მოხვდა და გახდა ბრძოლას მე-9 — მე-12 ადგილისთვის.

ეჭვგარეშეა, რომ ჩვენი გუნდი, რომელსაც ახლა სათავეში უდგას ორი შესანიშნავი ქართველი კალათბურთელი — ორგოლომპიური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატები მიხეილ ქორქია და ზურაბ საკანდელიძე, სწორ გზაზეა, გუნდი, რომ იტყვიან, მატჩიდან მატჩამდე აუჯობესებს თამაშს და უნდა ვიფიქროთ, შესწევს შესაძლებლობა გაისად გაცილებით უკეთ ისასპარეზოს. ამავე აზრისა არიან ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი სპეციალისტებიც, მათ შორის სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ალექსანდრე გომელაური, რომელმაც თბილისის ტურის დამთავრების შემდეგ განაცხადა: „თუ თქვენმა „დინამომ“ ასეთივე მონდომებით განაგრძო სასწავლო-საწვრთნელი პროცესის წარმართვა და ასევე შემართებით ბრძოლა, იგი ქვეყნის ნებისმიერ გუნდს არ დაუდებს ტოლს!“.

ᲤᲔᲮᲑᲝᲓᲜᲘᲔᲠᲘ

22-29 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

ᲢᲘᲮᲝᲜ ᲮᲠᲔᲜᲘᲙᲝᲕᲘ,
სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი:

ასეთი გაქანება, ასეთი მასშტაბი ჯერ არ ახლოვს არც ერთ მუსიკალურ დღესასწაულს ჩვენს ქვეყანაში. ახლანდელ ფესტივალში მონაწილეობას იღებს 2000-ზე მეტი შემსრულებელი. ეს მუსიკის გრანდიოზული დღესასწაულია, ხალხთა მეგობრობის დღესასწაულია.

ყველა ჩვენგანისათვის ეს შესანიშნავი დღეებია, თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში ეღერს საბჭოთა მუსიკა. იგი ხელოვნების მოყვარულთა უდიდეს ინტერესს იწვევს. ყველა დარბაზი, სადაც მიმდინარეობს საფესტივალო კონცერტები, სავსეა და მსმენელები მხურვალედ და გულითადად ხვდებიან საბჭოთა მუსიკას. მთელი რესპუბლიკა აუდიტორიაა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲡᲙᲙᲞ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, საბჭოთა საქართველოსა და მისი კომპარტიის 60 წლის თავის აღსანიშნავ დღესასწაულზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმული რჩევა-დარიგებებისა და მეთითებების განხორციელების საქმეში პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მუშაკთა ამოცანები განხილულ 30 დეკემბერს გამართულ ჟურნალისტთა VII თბილისის საქალაქო კონფერენციის დელეგატებმა.

კონფერენციამ მოისმინა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის საქალაქო განყოფილების ბიუროს თავმჯდომარის, გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორის ნ. ჯაშის ანგარიში და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის, გამომცემლობა „განათლების“ რედაქციის გამგის გ. ბოჯგუას მოხსენება.

მოხსენებების გამო კამათში გამოვიდნენ გაზეთ „კომუნისტის“ განყოფილების გამგე ნ. ჯაველიძე, ჟურნალ „საქართველოს ქალის“ პასუხისმგებელი მდივანი ე. ჯაფარიძე, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორის მოადგილე ვ. გოგოლაშვილი, გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქტორის მოადგილე ა. კეკნაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნ. ტაბიძე, ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ რედაქტორი ჯ. მამალაძე, შტატგარეშე კორესპონდენტი ი. ნაბიევი, პროფესორი ე. ქვათაძე, საქართველოს სსრ სახტელერადიოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. სანებლიძე, მრავალტირაჟიანი გაზეთის „სამთო ქმნის“ რედაქტორი რ. ბაბუნაშვილი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი გ. ბედინეიშვილი, საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ მოწინავე მუშა, მუშა-კორესპონდენტი თ. მახარაშვილი.

ორატორებმა დიდი ინტერესით, საქმიანად განიხილეს დედაქალაქის ჟურნალისტთა დიდმნიშვნელოვანი ამოცანები.

აირჩიეს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის საქალაქო განყოფილების გამგეობის, სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის VI ყრილობის დელეგატები.

გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის საქალაქო განყოფილების პირველი პლენუმი. მან აირჩია გამგეობის ბიურო 13 კაცის შემადგენლობით. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის საქალაქო განყოფილების ბიუროს თავმჯდომარედ ერჩია გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორი ნ. ჯაში, თავმჯდომარეთ — ოთხი მოადგილეებად — გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქტორი პ. ასლანიდი და გაზეთ „თბილისის“ რედაქტორის მოადგილე ო. იოსელიანი, პასუხისმგებელ მდივნად — ლ. კობახიძე.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქტორი ო. კაციტაძე. (საქინფორმი).

ᲡᲝᲩᲣᲛᲘ

ᲡᲝᲩᲣᲛᲘ, 28 დეკემბერი. (საქინფორმის კორ.) აფხაზეთის ჟურნალისტთა კავშირის მეექვსე ყრილობა შეიკრიბა იმ ღირსშესანიშნავ დროს, როცა ავტონომიური რესპუბლიკის, ისევე როგორც მთელი ქვეყნის, მშრომელები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის შედეგებით აღფრთოვანებულნი სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ ბრძოლას სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა რ. ბუტბამ წაიკითხა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება აფხაზეთის ჟურნალისტთა კავშირის VI ყრილობისადმი.

აფხაზეთის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენება გააკეთა მისმა თავმჯდომარემ ს. კვიწინიამ. მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ აფხაზეთის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები აქტიურ მუშაობას ეწევიან შრომითი კოლექტივების დასარაზმავად მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის.

ამასთან ერთად ყრილობაზე აღინიშნა, რომ აფხაზეთის ჟურნალისტებმა უფრო მკაფიოდ უნდა გააშუქონ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, ბრძოლა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ნელღეუნისა და მასალების მომჭირნეობისათვის, ფართოდ გააშუქონ სასურსათო პროგრამის განხორციელების მიმდინარეობა, საგნობრივი პროპაგანდა გაუწიონ სამეურნეო ცხოვრების წესს.

ყრილობამ აირჩია აფხაზეთის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის, მისი ბიუროსა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობანი, აგრეთვე საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის V ყრილობის დელეგატები.

გაიმართა ახლად არჩეული აფხაზეთის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პირველი პლენუმი. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია გაზეთ „აფსნი ყიფშის“ რედაქტორი ს. კვიწინია, მოადგილეებად — გაზეთების „საბჭოთა აფხაზეთისა“ და „სოვეტსკაია აფხაზიის“ რედაქტორები ხ. ახალაია და ა. ერმაშკევიჩი, მდივნად — გაზეთი „სოვეტსკაია აფხაზიის“ განყოფილების გამგე ა. ავიძბა.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

31 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამიდან: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — „დილის ვარჯიში“ (მ.), 10.00 — „მოამბე“, 10.40 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გამარჯობა, „როვესნიკ“, 11.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 11.10 — ქალებისათვის — „აბალი მოდები“, 11.45 — დოკუმენტური ფილმი „სიმღერის დაბადება“, 12.45 — საგელევიზიო ფილმი „ეექსპრომტი“, 13.00 — „მუსიკალური სპექტაკლების სცენები“, 14.15 — „ბავშვებისათვის — „საახალწლო კიბოდარბაზი“ — საგელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ოთხი მეგობრის ცხოვრება და თავგადასავალი“. მესამე და მეოთხე სერია (პრემიერა) (მ), 16.45 — კინონარკვევი, 16.55 — ბალეტის მოყვარულთათვის, 17.25 — მოსწავლეთათვის — „საახალწლო გაბნყობილება“, 18.10 — გადაცემა „ძალევის კიდევ ერთი წელი“, 19.10 — „ხალხური შემოქმედება“ — „თვალთაი“, 19.45 — „ფლეს მსოფლიოში“ (მ.), 20.10 — „მოამბე“, 20.50 — „მხიარული ეკრანი“... ბრონისლავ ნუშიჩი — „ჭორი“. საგელევიზიო სპექტაკლის პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის დადგმა), 21.10 — ქართული საგელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები „ეუნჩი ბეღლერი“ და „სათადარიგო ბორბალი“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.40 — „მრავალკამერ, ჩვენო ქვეყანავ!“, 00.50 — „საახალწლო მოლოცვა საბჭოთა ხალხს!“, 01.05 — „ციფერი ეკრანი“ (მ.), 04.30 — „საცეკვაო დარბაზი“ (მ.), 05.00 — საესტრადო მელოდიები და რიგმები (მ.).

რედაქტორი
Გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ • ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

Ა. Ა. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝᲡ ᲛᲘᲘᲚᲝ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ

22 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოველი ელჩი ა. ჰარტმანი მისი თხოვნით.

იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა აღძრა საკითხი პოლონეთის ამბების შესახებ, მას ეთქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უნდა შეწყვიტოს სუვერენული სახელმწიფოს — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევა, რაც უკვე კარგა ხანს გრძელდება სხვადასხვა — აშკარა თუ ფარული ფორმით.

ა. ა. გრომიკომ ხაზი გაუსვა, რომ ღონისძიებანი, რომლებსაც პოლონეთის ხელმძღვანელობა ახორციელებს ქვეყანაში მდგომარეობის ნორმალიზაციისა და სტაბილიზაციის მიზნით, მხოლოდ და მხოლოდ პოლონელების საქმეა და სხვისი არავისი. (საკდესი).

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲕᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲓᲘᲓᲝᲐᲛᲘᲜᲬᲘᲡ ᲖᲣᲠᲑᲖᲔ

30 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

Გ. ᲥᲐᲠᲛᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲥᲐᲑᲣᲚᲘ, ავღანელი ხალხის წინაშე მდგომი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ბრძოლა საზღვარგარეთიდან შემოგზავნილი კონტრრევოლუციური ბანდების წინააღმდეგ, განაცხადა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ बबრაკ ქარმალმა ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲮᲐᲠᲮᲝᲕᲐᲜᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲚᲐᲠᲘ.

ჩვენი ვალია, აღნიშნა მან, რაც შეიძლება სწრაფად აღვადგინოთ მშვიდობა და უშიშროება ქვეყანაში, ავაშენოთ ახალი ავღანეთი, უზრუნველყო